პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტის და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 32-ე წელი

ოთხშაბათი, 21 იანვარი, 1952 წ. № 18 (9178). ფასი 20 კაპ.

დღეს სრულდება 28 წელი ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ორგანიზატორის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის გარდაცვალებიდან.

განვლილი წლების მანძილზე ლენინის დიადი დროშით, ამხანაგ სტალინის ბრძნული ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხმა მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებები მოიპოვა და ახლა წარმატებით აშენებს კომუნიზმს.

გაუმარჯოს ლენინიზმს მთელ მსოფლიოში!

დიდება ლენინის საქმის გენიალურ განმგრძობს, ყველა ჩვენი გამარჯვებათა სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს ამხანაგ სტალინს!

## ლენინ-სტალინის დიადი და უძლეველი დროშით

დღეს 28 წელი შესრულდა ბოლშევიკური პარტიის დამაარსებლისა და საბჭოთა სახელმწიფოს შემქმნელის, მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბელადისა და მასწავლებლის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის გარდაცვალებიდან.

საბჭოთა ადამიანები, მთელი მსოფლიოს მშრომელები წმიდად ინახავენ რევოლუციის დიდი გენიის ნათელ ხსოვნას. ლენინის უკვდავი საქმე ცოცხლობს და მუდამ იცოცხლებს საუკუნეებში. ლენინმა შექმნა და რევოლუციურ ბრძოლებში გამოაწრთო ახალი ტიპის პარტია, ბოლშევიკური პარტია. ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით, ლენინისა და სტალინის უშუალო წინამძღოლობით რუსეთის მუშათა კლასმა 1917 წლის ოქტომბერში დაამხო მემამულეებისა და კაპიტალისტების ბატონობა და დაამყარა საბჭოთა ხელისუფლება. ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხმა ააშენა მსოფლიო ისტორიაში პირველი მუშათა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფო, დაიცვა იგი იმპერიალისტთა და თეთრგვარდიელთა წინააღმდეგ ბრძოლებში. დიდმა ლენინმა ბოლშევიკურ პარტიას, საბჭოთა ხალხს უჩვენა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების გზა. ამ გზით ახალი გამარჯვებებისაკენ წაიყვანა საბჭოთა ხალხი ლენინის უერთგულესმა თანამებრძოლმა და მისი საქმის გენიალურმა განმგრძობმა ამხანაგმა სტალინმა.

ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტი ვ. ი. ლენინის გარდაცვალების გამო თავის 1924 წლის 22 იანვრის მიმართვაში პარტიის წევრებისადმი, ყველა მშრომელისადმი აღნიშნავდა: „ყველაფერმა, რაც პროლეტარიატში ნამდვილად დიადი და გმირულია, — შეუპოვარმა გონებამ, რკინისებურმა, შეუდრეკელმა, მტკიცე, ყოვლისმძლეველმა ნებისყოფამ, წმიდა სიძულვილმა, უსაზღვრო სიძულვილმა მონობისა და ჩაგვრისადმი, რევოლუციურმა მგზნებარებამ, რომელიც მთებს ამოძრავებს, მასების შემოქმედებითი ძალებისადმი უსაზღვრო რწმენამ, უდიდესმა ორგანიზატორულმა გენიამ, — ყოველივე ამან თავისი საუცხოო განსახიერება ჰპოვა ლენინში, რომლის სახელი ახალი სამყაროს სიმბოლო გახდა დასავლეთიდან აღმოსავლეთამდე, სამხრეთიდან ჩრდილოეთამდე".

მთელი საბჭოთა ხალხისა და მსოფლიოს მშრომელთა უდიდესი ბედნიერებაა, რომ ლენინის დროშა ხელთ უპყრია და წინ მიაქვს ლენინის საქმის განმგრძობს, მის სახელოვან თანამებრძოლს დიდ სტალინს.

ვ. ი. ლენინის საყოველთაო-სახალხო გლოვის დღეებში დიდმა სტალინმა ბოლშევიკური პარტიის სახელით დადო დიადი, ისტორიული ფიცი, რომ მუდამ მაღლა გვეჭირებოდა და წმიდად დავიცავდით ბოლშევიკური პარტიის წევრის — უდიდესი პროლეტარული სტრატეგის — ლენინის არმიის ჯარისკაცის დიად სახელს; თვალისჩინივით გავუფრთხილდებოდით და დავიცავდით ყოველგვარი მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში პარტიის მონოლითურ ერთიანობას; შემდგომ განვამტკიცებდით და ძალების დაუზოგავად დავიცავდით დიდი ოქტომბრის მონაპოვარს — პროლეტარიატის დიქტატურას; მთელი ძალღონით განვამტკიცებდით მუშათა და გლეხთა კავშირს; შემდგომ გავაფართოებდით საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს; არაფერს დავიშურებდით საბჭოთა სოციალისტური სამშობლოს ფხიზელი გუშაგის — ჩვენი წითელი არმიისა და წითელი ფლოტის განმტკიცებისათვის; უფრო გავაფართოებდით და განვამტკიცებდით მთელი მსოფლიოს მშრომელთა ინტერნაციონალურ კავშირს.

ბოლშევიკურმა პარტიამ, საბჭოთა ხალხმა დიდი სტალინის ხელმძღვანელობით ბრწყინვალედ შეასრულეს ეს ისტორიული ფიცი. ლენინის დროშით, დიდი სტალინის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხმა მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის გამარჯვებანი მოიპოვა. წარსულში ჩამორჩენილი ჩვენი ქვეყანა სტალინური ხუთწლედების წარმატებით განხორციელების შედეგად გადაიქცა მსოფლიოში ყველაზე მოწინავე ინდუსტრიის, მსხვილი სოციალისტური სოფლის მეურნეობის ქვეყნად, მოწინავე მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის ქვეყნად. ლენინის დროშით, სტალინის წინამძღოლობით საბჭოთა ხალხმა გმირულად დაიცვა თავისი ღირსება და დამოუკიდებლობა გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ დიდ სამამულო ომში, გაანადგურა მტერი და ფაშისტთა შუასაუკუნეობრივი დამონებისაგან იხსნა კაცობრიობა.

დიდი ლენინის ანდერძის მიხედვით, ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით აშენდა ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური საზოგადოება. დიდი სტალინის ხელმძღვანელობით ჩვენი ქვეყანა გადაიქცა უძლეველ საერთაშორისო ძალად, რომელიც გადამწყვეტ გავლენას ახდენს საერთაშორისო ვითარებაზე, ცვლის მას მშრომელთა ინტერესების შესაბამისად. საბჭოთა კავშირი გადაიქცა მთელ მსოფლიოში ხალხთა თანასწორობისა და მეგობრობის ნიმუშად, გახდა მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ურყევი დასაყრდენი. ეს ლენინიზმის ტრიუმფია. ყოველივე ამას საბჭოთა ხალხი, მთელი პროგრესული კაცობრიობა უმადლის ლენინის საქმის განმგრძობს, თავის ბრძენ მასწავლებელსა და ბელადს ამხანაგ სტალინს.

ლენინის დიადი საქმე ცოცხლობს და იმარჯვებს საბჭოთა ხალხის გმირულ შრომაში, ბოლშევიკური პარტიის ისტორიულ მოღვაწეობაში, საბჭოთა ქვეყნის გიგანტურ მიღწევებში. საბჭოთა ხალხმა მოკლე დროში არა მარტო მოიშუშა ომით მიყენებული ჭრილობები, არამედ ვადამდე გადაჭარბებით შეასრულა ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედი და ახლა წარმატებით აშენებს კომუნისტურ საზოგადოებას. ლენინიზმის ყოვლისმძლე იდეები აღაფრთოვანებს კომუნიზმის საქმისათვის მებრძოლ საბჭოთა ხალხის გონებასა და ნებას, განუზომლად ზრდის მათს აქტივობას, მათს შემოქმედებითს ენერგიას, აასკეცებს წარმატებებს კომუნიზმის მშენებლობის დიად გზაზე.

საბჭოთა ადამიანების ცხოვრების ყოველი დღე ახალი და ახალი ძალით ადასტურებს ლენინის გენიალურ იდეებს სოციალისტური შრომის ყოვლისშემძლებლობის, სოციალისტური შეჯიბრების ძალის შესახებ. ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის ახალი აღმავლობისათვის, კომუნიზმის დიად მშენებლობათა ფრონტზე ახალ წარმატებათა მოპოვებისათვის საბჭოთა ადამიანების სოციალისტური შეჯიბრება დიდი ხანია გადაიქცა მილიონთა შეჯიბრებად, გადაიქცა ხალხთა მასების დიად მოძრაობად. იგი გვიჩვენებს საბჭოთა ადამიანების სულ უფრო მზარდ კომუნისტურ შეგნებულობას, მათს შრომითს გმირობას, შემოქმედებითს ინიციატივას, დაუცხრომელ სწრაფვას წინ, ახლისაკენ, პროგრესულისაკენ.

რაც დრო გადის, სულ უფრო მეტი ძალით იჩენს თავს ლენინიზმის დიადი, გარდამქმნელი ძალა. ლენინიზმი მთელი მსოფლიოს მშრომელთა დროშაა კაპიტალის ბორკილებისაგან განთავისუფლებისათვის ბრძოლაში, ახალი სოციალისტური ცხოვრებისათვის ბრძოლაში. საბჭოთა ხალხის დიადი მაგალითი აღაფრთოვანებს და ახალი ძალებით აღავსებს ცენტრალური და სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპის სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელთ, რომლებმაც საბჭოთა ხალხის დახმარებით თავიანთ ხელში აიღეს სახელმწიფო ძალაუფლება და ლენინ-სტალინის დროშით, საკუთარი კომუნისტური და მუშათა პარტიების ხელმძღვანელობით მტკიცედ დაადგნენ სოციალიზმის მშენებლობის გზას. მნიშვნელოვანი გამარჯვებები მოიპოვა სახალხო მეურნეობისა და კულტურის დარგში, სახალხო-დემოკრატიული რეჟიმის განმტკიცების საქმეში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ. სულ უფრო სწრაფი ტემპით მიდის წინ სამეურნეო და კულტურული მშენებლობა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

მაშინ როცა სოციალიზმისა და დემოკრატიის ბანაკის ქვეყნები, რომელთაც საბჭოთა კავშირი მეთაურობს, მშვიდობიან მშენებლობას ეწევიან და მშვიდობისა და ხალხთა ძმობისათვის იბრძვიან, იმპერიალისტთა ბანაკი, რომელსაც სათავეში უდგას ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი ხროვა, მთელ თავის ძალებს წარმართავს კომუნისტური მოძრაობის წინააღმდეგ, ახალი მსოფლიო ომისაკენ, საბჭოთა კავშირისა და სახალხო-დემოკრატიული ქვეყნების წინააღმდეგ ომისაკენ. ომისა და რეაქციის ძალების წინააღმდეგ ბრძოლაში მსოფლიოს მილიონობით ადამიანები მტკიცედ დგებიან საბჭოთა ქვეყნის მხარეზე, ლენინისა და სტალინის დროშის ქვეშ, ვინაიდან კარგად იციან, რომ ლენინიზმი მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლის დროშაა. ვერავითარი ძალა ვერ დახრის ამ დროშას, ვერავითარი ძალა ვერ დაძლევს ლენინისა და სტალინის დიადი იდეებით გაერთიანებულ ხალხთა მილიონებს.

თითქოს დღეს ეთქვას, ისე ძლიერად, ისე შთამაგონებლად გაისმის დიდი ლენინის სიტყვები: „დაე ბურჟუაზია ბორგავდეს და ცოფს ყრიდეს, სანამ გონება არ დაუბნელდება... ბურჟუაზია ისე იქცევა, როგორც იქცეოდა ისტორიის მიერ დასაღუპავად განწირული ყველა კლასი... ყველა შემთხვევაში და ყველა ქვეყანაში კომუნიზმი იწრთობა და იზრდება. კომუნიზმის ფესვები ისე ღრმადაა, რომ დევნა მას კი ვერ ასუსტებს და აუძლურებს, არამედ აძლიერებს".

ბოლშევიკური პარტია, საბჭოთა ხალხი მუდამ იმარჯვებდა და იმარჯვებს ლენინიზმისადმი თავისი ერთგულებით, დიდი სტალინის ბრძნულ მითითებათა განუხრელად შესრულებით. ჩვენი ქვეყნის მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებები სიამაყისა და სიხარულის გრძნობით აღავსებს თვითეული საბჭოთა ადამიანის გულს. მაგრამ ბოლშევიკური პარტია, დიდი სტალინი მუდამ ასწავლიან ჩვენს ხალხს, ჩვენს კადრებს — არ ვიყოყოჩოთ, არ დავჯერდეთ მოპოვებულ მიღწევებს, კი არ ვფარავდეთ, არამედ მუდამ ვააშკარავებდეთ ჩვენს ნაკლოვანებებს, ყურს ვუგდებდეთ მასების ხმას, ვაჩაღებდეთ ბოლშევიკურ კრიტიკასა და თვითკრიტიკას, დაუყოვნებლივ ვასწორებდეთ ჩვენი მუშაობის ხარვეზებს. კრიტიკა და თვითკრიტიკა აჩქარებს ჩვენს წინსვლას კომუნიზმისაკენ. მუდამ ვიხელმძღვანელოთ კრიტიკისა და თვითკრიტიკის პრინციპით, — ასეთია ჩვენი კადრების ამოცანა, რომელსაც უსახავდა მათ ლენინი, რომელსაც უსახავს მათ ჩვენი მასწავლებელი და ბელადი ამხანაგი სტალინი.

კომუნიზმისაკენ ჩვენი წინსვლის მძლავრი საშუალებაა საწარმოო ძალთა შემდგომი ზრდა, შრომის ნაყოფიერების სისტემატური ამაღლება, ჩვენი სახალხო მეურნეობის, მეცნიერების, კულტურის ახალი აღმავლობა, საბჭოთა ქვეყნის სამხედრო ძლიერების შემდგომი განმტკიცება. ამ ამოცანების შესრულების გადამწყვეტი პირობაა მასების კომუნისტური აღზრდის გაძლიერება. მუდამ უნდა გვახსოვდეს დიდი სტალინის სიტყვები, რომ რაც უფრო მაღალი იქნება მასების კომუნისტური შეგნებულობა, რაც უფრო ღრმად დაეუფლებიან ისინი მარქსიზმ-ლენინიზმის დიად იდეებს, მით უფრო მეტი იქნება ჩვენი წარმატებანი კომუნიზმის მშენებლობის საქმეში. დიდია ჩვენი წარმატებანი ამ მხრივ. მაგრამ კიდევ უფრო მეტი უნდა გააკეთონ ამ მიმართულებით ჩვენმა პარტიულმა ორგანიზაციებმა.

სულ უფრო მტკიცე და მძლავრი ნაბიჯით მიდის წინ საბჭოთა ხალხი ლენინის მიერ ნაჩვენები გზით. წლითიწლობით უფრო და უფრო ვუახლოვდებით ლენინისა და სტალინის მიერ დასახულ დიად მიზანს — კომუნიზმს. დაე ცოფს ყრიდნენ იმპერიალიზმის დაქირავებული ქოფაკები — ომის ამერიკელ-ინგლისელი გამჩაღებლები, — მსოფლიოში ვერავითარი ძალა ვერ შეაჩერებს საბჭოთა ადამიანების განუხრელ წინსვლას კომუნიზმისაკენ. ჩვენ ისეთ პერიოდში ვცხოვრობთ, როცა ყველა გზა მთელ მსოფლიოში კომუნიზმისაკენ მიდის.

გაუმარჯოს მარქსის, ენგელსის, ლენინისა და სტალინის დიად, უძლეველ დროშას!

დიდება ლენინის საქმის გენიალურ განმგრძობს, ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს დიდ სტალინს!



## ვ. ი. ლენინის თხზულებათა ოცდამეხუთე ტომი ქართულ ენაზე

საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობამ ქართულ ენაზე გამოუშვა ვ. ი. ლენინის თხზულებათა ოცდამეხუთე ტომი.

თარგმანი შესრულა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალმა.

გამოცემის ტირაჟია 20 ათასი ეგზემპლარი.

ოცდამეხუთე ტომი შეიცავს იმ ნაწარმოებებს, რომლებიც დაწერილია ვ. ი. ლენინის მიერ 1917 წლის ივნისიდან სექტემბრამდე — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომზადების პერიოდში.

ტომი იხსნება ვ. ი. ლენინის გამოსვლებით მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების I სრულიად რუსეთის ყრილობაზე. ამ გამოსვლებში, აგრეთვე სტატიებში „დაბნეულნი და დაშინებულნი", „წინააღმდეგური პოზიცია", „თვრამეტი ივნისი", „რევოლუცია, შეტევა და ჩვენი პარტია", „სად მიიყვანეს რევოლუცია ესერებმა და მენშევიკებმა", „კლასობრივი ძვრა" ლენინი ამხილებს დროებითი მთავრობის კონტრრევოლუციურ პოლიტიკას და მენშევიკებისა და ესერების შემთანხმებლობას, ასაბუთებს რევოლუციის ძირითადი საკითხების გადაწყვეტისათვის ბრძოლის ბოლშევიკურ პროგრამას და განმარტავს, რომ მხოლოდ საბჭოების ძალაუფლებას შეუძლია გამოიყვანოს ქვეყანა ომიდან და ნგრევიდან, მიაღწიოს ზავს და მისცეს მიწა გლეხებს.

მთელ რიგ სტატიებში: „პოლიტიკური მდგომარეობა", „ლოზუნგებისათვის", „კონსტიტუციური ილუზიების შესახებ", „რევოლუციის გაკვეთილები" ლენინი სახავს ბოლშევიკური პარტიის ახალ ტაქტიკას 3-5 ივლისის ამბების შემდეგ ჩვენს ქვეყანაში მკვეთრად შეცვლილ პოლიტიკურ ვითარებასთან დაკავშირებით.

ნაშრომში „კატასტროფის მუქარა და როგორ ვებრძოლოთ მას" ლენინი გადმოგვცემს ბოლშევიკური პარტიის ეკონომიურ პლატფორმას და დაასკვნის, რომ მოახლოებული კატასტროფისაგან ქვეყნის ხსნის ერთადერთ საშუალებას პროლეტარული რევოლუცია წარმოადგენს.

ტომში შედის განთქმული შრომა „სახელმწიფო და რევოლუცია", რომელშიც ლენინმა განავითარა სახელმწიფოს მარქსისტული თეორია და დაიცვა იგი ოპორტუნისტების მიერ დამახინჯებისა და შერყვნისაგან.

ტომში შეტანილია შვიდი სტატია, რომლებიც წინათ არ შედიოდა ვ. ი. ლენინის თხზულებებში. სტატიებში „რევოლუციის შესაჩერებელი კავშირი", „რუსეთის რევოლუციის საგარეო პოლიტიკა", „მმართველი და პასუხისმგებელი პარტიები" ლენინი განმარტავს, რომ დროებითი მთავრობა არის კაპიტალისტების კავშირი მენშევიკებთან და ესერებთან რევოლუციის სალიკვიდაციოდ, რომ ბრალი ახლანდელი კონტრრევოლუციური საგარეო და საშინაო პოლიტიკისათვის და იმ კატასტროფისათვის, რომელიც უახლოვდება ჩვენს ქვეყანას, ეკისრებათ მმართველ შემთანხმებელ პარტიებს. სტატიაში „როგორ იმართლებს თავს როძიანკო" ლენინი ამხილებს IV სახელმწიფო სათათბიროს ყოფილ თავმჯდომარეს როძიანკოს პროვოკატორ მალინოვსკის დაფარვაში. სტატიებში „დრეიფუსის ახალი საქმე?", „მადლობა თავად გ. ე. ლვოვს" ლენინი ააშკარავებს პროვოკაციულ მეთოდებს, რომლებსაც კერენსკის მთავრობა მიმართავს ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლაში. სტატიაში „მთელი ძალაუფლება საბჭოებს!" ლენინი ასაბუთებს ბოლშევიკური პარტიის ლოზუნგს მთელი სახელმწიფო ძალაუფლების საბჭოების ხელში გადასვლის შესახებ.

ტომში შესული ყველა ის ნაწარმოები, რომლებიც 1917 წლის ივლისის დღეების შემდგომ პერიოდს ეკუთვნის, ლენინის მიერ დაწერილია იატაკქვეშეთში, როდესაც იგი იმალებოდა დროებითი მთავრობის დევნისაგან თავის დასაცავად. (საქდესი).

## აქ სიტყვა წარმოთქვა ლენინმა

ლენინგრადი, 18 იანვარი. (საქდესი). კიროვის ქარხნის ერთ-ერთი საამქროს კედელზე მიკრულია მემორიალური დაფა. დაფაზე ოქროს ასოებით აღბეჭდილია სიტყვები: „აქ სიტყვა წარმოთქვა ლენინმა"...

1917 წლის 12 მაისს პუტილოველთა მრავალათასიან მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბელადმა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინმა. მისმა მგზნებარე სიტყვამ, რომელიც მუშებს მოუწოდებდა მტკიცედ ებრძოლნათ მშვიდობისათვის, პურისათვის, საბჭოების ხელში ძალაუფლების გადასვლისათვის, უდიდესი აღფრთოვანება გამოიწვია. მიტინგი რომ დამთავრდა, მუშებმა ხელში აყვანილი მიიყვანეს ვლადიმერ ილიას-ძე ავტომობილამდე, შემდეგ კი ნარვის კარამდე მიაცილეს.

გაზის სახელობის კულტურის სახლში ჰკიდია სურათი, სადაც ასახულია ვ. ი. ლენინის გამოსვლა პუტილოველთა მიტინგზე. კიროველები ხშირად ჩერდებიან ამ სურათის წინ. წარმოების ძველი მუშაკები, რომლებმაც ვლადიმერ ილიას-ძის სიტყვა მოისმინეს ქარხნის მიტინგზე, — ამხ. კუკუშკინი, მირონიკოვი, ვასილიევი, ფომინი და სხვები უამბობენ ახალგაზრდობას ამ დაუვიწყარი მოვლენის შესახებ, მოუწოდებენ ახალგაზრდა მუშებს შრომით ამრავლონ რევოლუციის ვეტერანი ქარხნის სახელოვანი ტრადიციები.

დღეს გაზის სახელობის კულტურის სახლში გაიმართა კიროვის რაიონის მშრომელთა საზეიმო-სამგლოვიარო კრება. მოხსენება „28 წელი ულენინოდ, ლენინის გზით, ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით" გააკეთა საკავშირო კ. პ. (ბ) კიროვის რაიკომის მდივანმა ა. ო. დროზდოვმა.

ვ. ი. ლენინის ხსოვნისადმი მიძღვნილი საზეიმო-სამგლოვიარო კრება გაიმართა აგრეთვე ლენინგრადის სხვა რაიონებში.

## ვ. ი. ლენინის თხზულებათა მეთექვსმეტე ტომი ყაზახურ ენაზე

ალმა-ატა, 19 იანვარი. (საქდესი). ყაზახეთის სახელმწიფო გამომცემლობამ ყაზახურ ენაზე გამოუშვა ვ. ი. ლენინის თხზულებათა მეთექვსმეტე ტომი.

რუსული გამოცემიდან თარგმანი შეასრულა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის ყაზახეთის ფილიალმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლენინგორელები

ეს იყო გასული წლის ზაფხულში.

ლენინგორში ვიყავით. წიგნების მაღაზიაში შევიარეთ. შემოვიდა ახოვანი ვაჟკაცი, მეცხვარის ქუდით, ხელში განუყრელი კომბლით. იგი თავაზიანად მიესალმა წიგნების გამყიდველს. მერმე უბიდან ოთხად დაკეცილი ქაღალდი ამოიღო, გაშალა, წიგნების გამყიდველს გაუწოდა და უთხრა:

— მეცხვარეებმა დამაბარეს, მანდ ჩამოთვლილი წიგნები ძალიან გვჭირდება.

ვ. ი. ლენინი, თხზულებანი... — ასე იწყებოდა სასურველი წიგნების სია.

წიგნების გამყიდველმა სია ჩაიკითხა და ამის მიხედვით გადმოალაგა წიგნები.

მეცხვარემ სიყვარულით აიღო ხელში ვ. ი. ლენინის თხზულებანი, სარჩევი გადაშალა, ღიმილით ჩაიკითხა.

მერე გულმოდგინედ შეკრა ახლადშეძენილი წიგნები. მაღაზიის წინ გაჩერებულ ლონიერ ცხენს აჰკიდა ძვირფასი ტვირთი და კმაყოფილმა გასწია ქსნის ხეობისაკენ.

— ასეთი გახდა ჩვენი მეცხვარე, — კმაყოფილებით თქვა ლენინგორელმა მასპინძელმა—აი, ხედავ, ჩამოვიდა იგი რაიონის ცენტრში და პირველ რიგში შეიძინა წიგნები.

მწყემსურ ქოხებში, კოლმეურნეთა ნათელ ბინებში, სამკითხველოებში, ბიბლიოთეკებში... ყველგან შეხვდები სანუკვარ წიგნს, რომლის ნაცნობ ყდაზე ბრწყინავს „ვ. ი. ლენინი“.

თვალწარმტაცი ქსნის ხეობის მკვიდრნი ამაყობენ იმით, რომ ცხოვრობენ და შრომობენ რაიონში, რომელიც დიდი ლენინის სახელს ატარებს.

—ლენინი! — ჩვენი დიადი სამშობლოს ყველა მშრომელთან ერთად, მთელი მსოფლიოს კეთილი ნების ადამიანებთან ერთად ლენინგორელებიც გულითადი სიყვარულით წარმოთქვამენ ამ სახელს.

წარმოთქვამენ და მთელი შესაძლებლობით იბრძვიან, რათა მშვენიერი ხეობა ღირსეულად ატარებდეს ლენინის სახელს.

საამაყო, აღმაფრთოვანებელი წარმატებები მოაქვს ყოველ წელს რაიონისათვის. ყოველთვის, სიყვარულით აღნიშნავენ რა დიდი ლენინის გარდაცვალების წლისთავს, ლენინგორელები ერთმანეთს ეუბნებიან—რა გავაკეთეთ უკანასკნელი წლის მანძილზე დიდი ლენინის ხსოვნის უკვდავსაყოფად?

იმისათვის, რომ სასახელო საქმეები აკეთონ, უფრო სწრაფად იარონ წინ, ლენინგორელებიც, ისევე როგორც ჩვენი დიადი სამშობლოს ყველა მშრომელი, სწავლობენ ჩვენი პარტიის რევოლუციურ თეორიას—ლენინიზმს. სწავლობენ ლენინის ნაშრომებს, მგზნებარე, ახალი ძალის მომცემ სტრიქონებს.

რაიონის პირველად პარტიულ ორგანიზაციებთან მუშაობენ ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ბიოგრაფიების შემსწავლელი წრეები, ბელადების ცხოვრების უმდიდრესი გამოცდილებით იმდიდრებენ ცოდნას მეცხვარეები, პურისა და ყურძნის უხვი მოსავლის ოსტატები, მასწავლებლები, ექიმები, რომლებიც ასე მრავალია ახლა ქსნის ხეობის სოფლებში.

სწავლობენ ბელადების ცხოვრებას, მათს გენიალურ ნაშრომებს ლენინგორელები, სწავლობენ და მათს წინაშე იშლება წინსვლის უფრო ფართო ჰორიზონტი.

თავისებური რელიეფისაა დიდი ბელადის სახელობის რაიონი. მას აქვს საოცარი სილამაზის ალპური საძოვრები, სადაც პაპანაქება ზაფხულში მოჩუხჩუხებენ ყინულივით ცივი ანკარა ნაკადულები, საიდანაც სულ ახლოა მარად დათოვლილი კავკასიონის ბუმბერაზი მწვერვალები. ხოლო მოპირდაპირე მხარეს, სამხრეთში, მწიფდება ლოყაწითელი ვაშლი და ქარვისფერი ყურძენი.

ლენინგორს ყველაფერი აქვს იმისათვის, რომ სწრაფად შენდებოდეს, იზრდებოდეს, წინ მიდიოდეს.

ლენინგორელი პურის უხვი მოსავლის ოსტატებიც სერიოზულ წარმატებებს აღწევენ. აბრევიდან, ორჭოსნიდან, წინაგრიდან... სახელმწიფოს 1950 წელთან შედარებით შარშან ასობით ცენტნერით მეტი პური ჩაბარდა. განსაკუთრებით ისახელეს თავი ორჭოსნელებმა. აქ გეგმით გათვალისწინებული 14 ცენტნერის ნაცვლად თვითეულ ჰექტარზე 21 ცენტნერი ხორბალი მიიღეს. ამასთან ორჭოსნელებმა გააძლიერეს ღონისძიებანი სხვა კულტურების მოსავლიანობის გასადიდებლად. მაგალითად, გეგმით გათვალისწინებული 200 ცენტნერის ნაცვლად მათ თვითეულ ჰექტარზე 340 ცენტნერი შაქრის ჭარხალი მიიღეს.

ორჭოსნელთა წარმატება გამონაკლისი როდია. რაიონის მეჭარხლეობის კოლმეურნეობებმა გასულ წელს სამშობლოს გეგმაზე ერთიორად მეტი შაქრის ჭარხალი მისცეს.

რაიონის მეცხოველეები, პირველ რიგში მეცხვარეები, ახლისათვის, პროგრესისათვის ბრძოლის საუკეთესო მაგალითს გვიჩვენებენ. მოწინავე მეცხვარეები თავდადებით შრომობენ რათა ღირსეული წვლილი შეიტანონ ჩვენი სამშობლოს ძლიერების, მშვიდობის განმტკიცების საქმეში. ამ აზრით მუშაობენ სოფელ უკანამხარის მკვიდრი განთქმული მეცხვარე გიორგი ბაშარული, დადიანელი თავჩობანი ვარდო ბერიანიძე, ასე მუშაობს ათობით, ასობით მთიელი.

ცხვრის ახალი ჯიშის — „ქსანურის“ გამოყვანისათვის ბრძოლის წარმატება უფრო მაღალპროდუქტიულს ხდის აქაურ ცხვარს. მოძმე სომხეთის მოწინავე მეცხოველეთა მოწოდების პასუხად ლენინგორელმა მეცხვარეებმა ვალდებულება აიღეს: გეგმის გადამეტებით სამშობლოს მისცენ სამასი ცენტნერი მატყლი. მთიელებმა ამჯერადაც საქმით დაადასტურეს თავიანთი სიტყვის ერთგულება — გადაჭარბებით შეასრულეს აღებული ვალდებულება. შესანიშნავ ქსოვილებს დაამზადებენ ჩვენი ფაბრიკები ლენინგორული მატყლით.

წინაგარელი მებაღე ილია მარგიევი ამაყობს იმით, რომ მისმა ბრიგადამ სახელმწიფოს გეგმით გათვალისწინებული 70 ტონის ნაცვლად 100 ტონა ხილი მისცა. შეიტკბონ ლენინგორული ხილი მოსკოვისა და ლენინგრადის მშრომელებმა, კომუნიზმის ხარაჩოებზე მდგომმა ადამიანებმა!

საკოლმეურნეო სოფლებში მუშაობენ მევენახეები, რომელთა მკერდზე ბრწყინავს უმაღლესი ჯილდო — ლენინის ორდენი. ესენი არიან გიორგი და მიხეილ ტატუნაშვილები და სხვები. ახლა თოვლქვეშ სძინავთ ვაზებს. გაზაფხულის მოლოდინში მყოფი მევენახე სიყვარულით გადახედავს სასხლავს, ამზადებს ვაზის შესაწამლ მასალას. სათუთია ვაზი. კვირტის გამოჩენიდან მტევნის ჩამწიფებამდე, თვით ზამთარშიც განუწყვეტლივ ზრუნვას მოითხოვს.

წინ მიდის კულტურული ცხოვრება. ახლა სკოლას, კლუბს, ბიბლიოთეკას ნახავთ რაიონის ცენტრიდან თვით ყველაზე მეტად დაშორებულ სოფლებში. ბევრი მთიელი სიამაყით ამბობს:

— ჩემს ჭერქვეშ ბრწყინავს ილიჩის ნათურა!

ასე აცხადებენ დადიანეთელები, იკოთელები, ყანჩაველები... მალე მუშაობას დაიწყებს ელექტროსადგური მდინარე ქსანზე სოფელ ლარგვისთან. ლარგვისელი ალექსი ქენქაძე თავისი მარჯვენით აგებდა ელექტროსადგურს, ახლა დამამთავრებელ სამუშაოებს ასრულებს. სიხარულით ელიან მთიელები იმ დღეს, როცა ლარგვისში, ცხავატში, საძეგურში შეიჭრება ელექტრონი, სამოქმედო ასპარეზს გაიფართოებს, შრომას შეუმსუბუქებს ადამიანს.

ლენინგორი კულტურული ცხოვრების კარგ მაგალითს აძლევს სოფლებს. ლენინგორის კეთილმოსაწყობად უკანასკნელ ხანებში თვალსაჩინო ღონისძიებანი განხორციელდა. გაფართოვდა ქუჩები, რომელთა ნაპირები ახალგაზრდა ნარგავებმა დაამშვენეს. შეიქმნა ახალი საცხოვრებელი კვარტალი. გამოიყვანეს წყალსადენის ახალი რიგი. განზრახულია ლენინგორში დამატებით შემოიყვანონ ახალი წყაროს წყალი... საღამოობით რაიონული კლუბისაკენ, კინოთეატრისაკენ, ბიბლიოთეკებისაკენ, პარტკაბინეტისაკენ მიდიან ადამიანები, მიდიან იმისათვის, რომ სამშობლოს საკეთილდღეო დღიური შრომის შემდეგ კულტურული მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად გამოიყენონ დარჩენილი დრო.

რაიონულ ცენტრში აღმართული ლენინის ძეგლი გასცქერის ქსნის წარმტაც ხეობას, რომლის ცხოვრებაც დიადი სამშობლოს მთელ შესანიშნავ ცხოვრებასთან ერთად დიდი სტალინის ზრუნვით გაცისკროვნებულა.

სულ უფრო ზრდიან ადამიანები პურის მოსავლიანობას, ამრავლებენ მაღალპროდუქტიული ჯიშის ცხვარს, აგებენ ელექტროსადგურებს, ეუფლებიან ცოდნას, კომუნიზმის გამარჯვების მეცნიერებას—მარქსიზმ-ლენინიზმს, და სიამაყით წარმოთქვამენ:

—ჩვენ ლენინგორელები ვართ!

**ვლ. გელაშვილი**

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

## ის ჩვენთან არის...

მარად უკვდავი, მარად მართალი,
მარად სიცოცხლის შუქმოფენილი,
მასწავლებელი, ხალხთა ხარდალი —
კვლავ ჩვენთან არის დიდი ლენინი!

ის ჩვენთან არის. ყოველდღე გვესმის
მისი ხმა ბრძნული და ვაჟკაცური,
ამ ხმაზე
სავსე ღვარძლით და გესლით
ძრწის ყველა მტერი, ყველა მაცდური.

ის ჩვენთან არის. ვოლგაზე ნახავთ
და ყარაყუმის მინდორშიც დადის...
ებრძვის ვერაგთა სისხლიან ზრახვას,
იბრძვის საქვეყნო მშვიდობისათვის.

ის ჩვენთან არის. ღამეს ათენებს
და დღეს ალამებს ხალხზე ზრუნვაში,
ხამგორის პირველ მობინადრეებს
ახალ კერასთან ხვდება გულგაშლით...

ის ჩვენთან არის. გვაწრთობს და გვლოცავს,
ნიადაგ ახალ წინსვლას გვისურვებს
ჩვენ, შეფიცულებს მის ნათელ დროშას,
ჩვენ, კომუნიზმის ბჭესთან მისულებს.

ის ჩვენთან არის. მომავალს ვხვდებით
გამარჯვებულნი, ამაყნი, მხნენი,
რადგან ლენინის დიადი გზებით
წინ მიგვიძღვება სტალინი ბრძენი!

**ხუტა ბერულავა**

## მავზოლეუმთან

თენდება, გაშლილ დროშების რხევას
მილიონების მოჰყვება ტაში.
მავზოლეუმის კედლებთან ვდგევარ
და ვღელავ როგორც პატარა ბავშვი.
კრემლის გუმბათზე მნათობი დგება,
ოქროს სხივები იფრქვევა ირგვლივ,
მშრომელთ ლაშქარი მოეშურება
აქეთკენ ერთი აზრით და ფიქრით.
კორეელი თუ ჩინელი ძმების
სიტყვები გულის სიღრმემდის ატანს.
აქ ყველა ქვეყნის ღვიძლი შვილები
მშობლიურ ლენინს აძლევენ პატაკს...
ნათელი შუქით გარემოცული
მშვიდობის დროშა არ დაიხრება.
აქ თვითეული კაცი მოსული
უდიადესი რწმენით ინთება.
და განა მარტო მოსკოველ ვაჟკაცს,
ეს დღე წინ უხმობს პოლონელს, უნგრელს.
ეს დღე მსოფლიოს მშრომელებს რაზმავს
და ხალხებს აძლევს სიმტკიცეს ურღვევს.
ეს დღე მსოფლიოს მშრომელებს რაზმავს
იმედით, საქმით, სიტყვით, ღირსებით.
ამ დღეს ახალი ძალღონით დასძრავს
მტრის შესამუსრად ჯარს კიმ ირ სენი.
მავზოლეუმის კედლებთან ვდგევარ,
ხალხთა რიგები მოილტვის ფრთხილად
და მათ ანთებულ თვალებში ვხედავ
ძმობას, სიხარულს, მშვიდობის დილას.

**ვახტანგ გორგანელი**

## ვ. ი. ლენინის ხსოვნის აღსანიშნავად

**თელავი.** (საკ. კორ.). თელავის რაიონის საწარმო-დაწესებულებებში, საბჭოთა მეურნეობებში, მტს-ებსა და კოლმეურნეობებში ლენინის დღეებთან დაკავშირებით ჩატარდა ლექციები ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

პარტკაბინეტში, ქალაქისა და სოფლის ბიბლიოთეკებში მოეწყო გამოფენები. გამოფენებზე ფართოდ არის წარმოდგენილი ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ლიტერატურა. პარტკაბინეტში მომხსენებლების, ლენინისა და სტალინის ბიოგრაფიებისა და პარტიის ისტორიის შემსწავლელთათვის ტარდება კონსულტაციები.

ამ დღეებში თელავის კინოთეატრ „კოლმეურნეში“, აგრეთვე სოფლების ფშაველის, წინანდლისა და ნაფარეულის კლუბებში უჩვენებენ კინოსურათებს: „ლენინი ოქტომბერში“, „თოფიანი კაცი“ და „ფიცი“.



ვ. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი გორკაში 1922 წელს.

## ლენინის ქუჩა

თბილისში არის ლენინის ქუჩა.

უყვართ თბილისელებს ეს დიდი ქუჩა, ორ ცენტრალურ მოედანს — რუსთაველისას და საბჭოთა კავშირის გმირებისას რომ აერთებს მრავალსართულიან ახალ სახლთა წყებებით, მუდამ რომ ავსებულია ორივე მიმართულებით დაძრული საქალაქო ტრანსპორტის ნაკადებით, საქმიანი მოძრაობითა და დაუდეგარი ხმაურით.

უყვართ იმიტომაც, რომ ამ ქუჩასთან, ისევე როგორც განახლებული თბილისის მრავალ სხვა კუთხესთან, დაკავშირებულია დიდი ლენინის საქმის გენიალური განმგრძობის შესახებ თბილისელთა საამაყო მოგონებანი, რაზეც მეტყველებს აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის ეზოში მაღლა აწვდილი, ქათქათა თეთრი მარმარილოს ობელისკი:

**დიდი სტალინი**

საკავშირო კომპარტიის (ბ) და მსოფლიო პროლეტარიატის ბელადი აქ, ყოფილ ბოზარჯიანცის თამბაქოს ფაბრიკაში 1898-1901 წლებში აწყობდა და ხელმძღვანელობდა არალეგალურ სოციალ-დემოკრატიულ მუშათა წრეებსა და გაფიცვებს.

შეცვლილი და გამშვენიერებულია ახლა ეს ადგილი. ფიქრისგორის კლდეს ძმლე მარჯვენამ მხარი ჩამოჰკვეთა, ოღროჩოღრო მიდამო აყვავებულ ბაღნარად აქცია, ფერად-ფერადი შენობები აღმართა მშრომელთა ცხოვრების შესამკობად, თბილისის მოსართავად.

ეკლარის თეთრი ქვისაგან გამოკვეთილი რუსთაველი მაღლიდან გადაჰყურებს თავის სახელობის მოედანს. ვის არ ახსოვს, წინათ რას წარმოადგენდა ჩვენი დედაქალაქის ეს სავანე უბანი: მიწაზე გართხმული დარაბები, ვიწრო ქუჩა, რომელსაც საქართველოსათვის უცხო დიდგვაროვანი დიაცის სახელი ჰქონდა მიკუთვნებული, ეტლების სადგომი ადგილები, შეშის საწყობები და სამიკიტნოები...

დღეს თვალსა და გულს ახარებს ამ მოედნის მშვენიერება. კიდევ უკეთესი, უფრო ბრწყინვალე იქნება ხვალინდელი დღე. აქა-იქ წვრილ-წვრილი შენობები ქონდრისკაცებივით გამოიყურებიან დიდ შენობათა ფონზე. მალე ისინი ადგილს დაცლიან ლენინის ქუჩის გასაფართოებლად, რუსთაველის მოედნის დასამშვენებლად. დიდი ცვლილებებია გათვალისწინებული მელიქიშვილისა და ლენინის ქუჩის გასაყრელ მოედანთან. მოედანი გაფართოვდება, მრავალსართულიან სახლთა რკალი მის ირგვლივ ახალი მონუმენტური შენობით შეიკვრება და ქუჩის გაყოლებით აქა-იქ შემორჩენილი ძველი სახლები ადგილს დაუთმობენ ლამაზ მრავალსართულიან შენობებს.

დიდ სამუშაოთა შესრულებაა გათვალისწინებული ქუჩის ბოლო მონაკვეთის გასამშვენიერებლად. ფიქრისგორის სიმაღლიდან ლენინის ქუჩის ხედს დაამშვენებს მრავალსართულიანი ახალი დიდი საცხოვრებელი სახლის კორპუსი, რომლის მშენებლობაც უკვე დაწყებულია. ჩამოჭრილი კლდე ფართო ტერასებიანი კიბით და ქოჩორა მცენარეებით მოიკაზმება, აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მხარეს აღმართულ შენობათა ანსამბლს მეორე მხარეს აღმართულ შენობათა ანსამბლი გვერდით ამოუდგება...

თბილისს ხვალ უფრო მეტად დაამშვენებს ლენინის ქუჩა.

**დ. ლომთაძე**

## მეშახტეთა ქალაქში

**ტყიბული.** (საკ. კორ.). ლენინის დღეების აღსანიშნავად რაიკომის პარტკაბინეტში მოეწყო ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობისადმი მიძღვნილი გამოფენა. აქ წარმოდგენილია ლენინის ყველა ძირითადი ნაშრომები და ფოტოდოკუმენტები. დიდი ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი გამოფენები მოეწყო აგრეთვე ქალაქისა და შახტების ბიბლიოთეკებში, მსხვილ საწარმო-დაწესებულებებში.

რაიკომის ლექტორთა ძალებით იმართება ლექციები თემებზე: „ვ. ი. ლენინის ცხოვრება და მოღვაწეობა“, „ვ. ი. ლენინის იდეები ანათებენ კომუნიზმის გზას“ და სხვ.

შახტებში რამდენიმე ახეული აგიტატორი და პროპაგანდისტი მართავს საუბრებს ლენინის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, ლენინისა და სტალინის დიად თანამეგობრობაზე. მეშახტეები ლენინის დღეებს შრომითი მიღწევებით ხვდებიან. განსაკუთრებით დიდ წარმატებას აღწევს იმ შახტის კოლექტივი, რომელიც ვ. ი. ლენინის სახელს ატარებს.

## ვ. ი. ლენინი — მშვიდობის დიდი მედროშე

კაცობრიობის უდიდესი გენიოსი, მშრომელთა ბრძენი მასწავლებელი და მეგობარი ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი მშვიდობისათვის დაუცხრომელი მებრძოლი იყო. ლენინმა სტალინთან ერთად შექმნა საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის სისტემა, დაასაბუთა სხვა და სხვა პოლიტიკური სისტემების თანაარსებობის შესაძლებლობა. „...მთელი ჩვენი პოლიტიკა და პროპაგანდა, — ამბობდა ლენინი საბჭოების სრულიად რუსეთის VIII ყრილობაზე, — მიმართულია არა იქითკენ, რომ ხალხები ომში ჩავაბათ, არამედ იქითკენ, რომ ბოლო მოვუღოთ ომს“.

პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომის დროს ლენინმა და მის მიერ გამოწრთობილმა ბოლშევიკების პარტიამ გაბედულად აღმართეს ბრძოლის დროშა მძარცველური, დაპყრობითი ომის წინააღმდეგ. 1914-1915 წლებში ლენინი წერს შრომებს „ევროპის ომი და საერთაშორისო სოციალიზმი“, „ომი და რუსეთის სოციალ-დემოკრატია“, „სოციალიზმი და ომი“ და სხვ., რომლებშიც მოცემულია პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომის მარქსისტული შეფასება — მხილებულია ამ ომის ყაჩაღური ხასიათი და ამავე დროს განსაზღვრულია პროლეტარული პარტიებისა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ამოცანები.

პირველი მსოფლიო ომი იმპერიალისტური იყო ორივე მეომარი მხარისათვის. ამიტომ ლენინმა ბურჟუაზიული სამშობლოს დაცვის სოციალ-შოვინისტური პოლიტიკის ნაცვლად, რასაც ასე გულმოდგინედ იცავდნენ მეორე ინტერნაციონალის პარტიები, წამოაყენა იმპერიალისტურ მთავრობათა დამარცხების ლოზუნგი. ინესა არმანდისათვის გაგზავნილ წერილში 1917 წელს ლენინი წერდა, რომ 1914 წელს დაწყებულ იმპერიალისტურ ომში, ორ იმპერიალისტურ კოალიციას შორის ჩვენ „სამშობლოს დაცვის“ წინააღმდეგი უნდა ვიყოთ, რადგან იმპერიალიზმი სოციალიზმის წინადღეა, იმპერიალისტური ომი მძარცველთა ომია ნადავლისათვის. ამიტომ, — ხაზგასმით აღნიშნავდა ლენინი, — ვართ ჩვენ „სამშობლოს დაცვის“ წინააღმდეგი. ბოლშევიკური პარტიის ბელადმა ლენინმა, ბოლშევიკების პარტიამ იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად, ბურჟუაზიისა და მემამულეების წინააღმდეგ ომად გადაქცევის ლოზუნგი წამოაყენა. წერილში „ომი და რუსეთის სოციალ-დემოკრატია“ ლენინი ამბობდა: „თანამედროვე იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევა არის ერთადერთი სწორი პროლეტარული ლოზუნგი, რაც გვიჩვენა კომუნის გამოცდილებამ, დასახულია ბაზელის რეზოლუციით (1912 წ.) და გამომდინარეობს დიდად განვითარებულ ბურჟუაზიულ ქვეყნებს შორის იმპერიალისტური ომის ყველა პირობიდან“ (თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტ. 21, გვ. 24).

ლენინმა ულმობელი და გადამწყვეტი ბრძოლა გააჩაღა სოციალ-შოვინიზმის, სოციალ-პაციფიზმის, ტროცკის ცენტრიზმის წინააღმდეგ. ლენინი ამხილებდა მძარცველური ომის ნამდვილ მიზნებს, იმპერიალისტურ მთავრობათა სიცრუეს, კაუცკებისა და გედების ღალატს. „საქმით, — წერდა ლენინი 1917 წელს, — კაუცკისა და სამბა-ჰენდერსონის პოლიტიკა თანაბრად ეხმარება თავის იმპერიალისტურ მთავრობას, რაკი მთავარ ყურადღებას აქცევს მოქიშპისა და მტრის მზაკვრობას, ხოლო ბუნდოვანი, ზოგადი ფრაზებისა და კეთილი სურვილების საბურველში ახვევს „თავის“ ბურჟუაზიის ამდენადვე იმპერიალისტურ ნაბიჯებს“ (თხზულებანი, ტ. 23, გვ. 233-234).

ლენინის ეს სიტყვები მთელი თავისი სიძლიერით გაისმის დღეს, როცა ინგლისის, საფრანგეთის და სხვა ქვეყნების მემარჯვენე სოციალისტები — ეტლები და მორისონები, რამადიეები და გი მოლეები, სპააკები და სარაგატები აშკარად დგანან ამერიკის იმპერიალიზმის სამსახურში, მოუწოდებენ საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ ლაშქრობისაკენ და ცდილობენ თავიანთი იმპერიალისტური მთავრობების შეიარაღებისა და ომის მზადების პოლიტიკა გაამართლონ დემაგოგიური სიტყვებით „სამშობლოს დაცვის“, „ქვეყნის თავდაცვის“ შესახებ. განსაკუთრებით აქტუალურია ბურჟუაზიული პაციფიზმის ლენინური კრიტიკა. ლენინურ-სტალინური სამშვიდობო პოლიტიკა მოითხოვს აქტიურ ბრძოლას მშვიდობისათვის და მას ბურჟუაზიულ პაციფიზმთან საერთო არა აქვს რა.

ბურჟუაზიული პაციფისტების წინააღმდეგ ბრძოლაში ლენინმა დაამუშავა მოძღვრება სამართლიანი და უსამართლო ომების შესახებ. ლენინი აღნიშნავდა, რომ ბოლშევიკები უნდა იბრძოდნენ მხოლოდ დაპყრობითი, მტაცებლური, უსამართლო ომების წინააღმდეგ. რაც შეეხება სამართლიან ომს, ბოლშევიკებმა მას მხარი უნდა დაუჭირონ: „თუ ომის დროს ლაპარაკია დემოკრატიის დაცვაზე ან ერის მჩაგვრელი უღლის წინააღმდეგ ბრძოლაზე, — ამბობდა ლენინი, — მე ოდნავადაც ასეთი ომის წინააღმდეგი არა ვარ და არ მაშინებს სიტყვები „სამშობლოს დაცვა“, როცა ისინი შეეხებიან ამგვარ ომს ან აჯანყებას. სოციალისტები ყოველთვის ჩაგრულთა მხარეზე დგებიან და, მაშასადამე, ისინი არ შეიძლება იყვნენ ისეთი ომების წინააღმდეგნი, რომელთა მიზანია დემოკრატიული ან სოციალისტური ბრძოლა ჩაგვრის წინააღმდეგ“ (თხზ. ტ. 23, გვ. 253). ლენინის მოძღვრებას სამართლიანი და უსამართლო ომების შესახებ უდიდესი მნიშვნელობა აქვს დღეს კაპიტალისტური ქვეყნების რევოლუციური პარტიებისათვის, იგი გზის მაჩვენებელი შუქურაა მათს ბრძოლაში იმპერიალიზმისა და რეაქციის ძალების წინააღმდეგ.

* * *

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების პირველი დღეებიდანვე ლენინმა გააჩაღა ბრძოლა ზავისათვის. იგი ითვალისწინებდა, რომ ახალგაზრდა საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების საქმე მოითხოვდა გერმანიასთან ზავის დადებას. ისტორიულ დეკრეტში ზავის შესახებ ლენინმა საბჭოთა მთავრობის სახელით 1917 წლის 26 ოქტომბერს (8 ნოემბერს) წინადადება მისცა ყველა მეომარ ხალხს და მათს მთავრობებს დაუყოვნებლივ დაეწყოთ მოლაპარაკება სამართლიანი, დემოკრატიული ზავის შესახებ. დეკრეტში ნათქვამი იყო, რომ ამ ომის განგრძობა იმისათვის, თუ როგორ გაიყონ ურთიერთ შორის ძლიერმა და მდიდარმა ერებმა მათ მიერ დაპყრობილი სუსტი ეროვნებანი, საბჭოთა მთავრობას მიაჩნია უდიდეს დანაშაულად კაცობრიობის წინაშე და საზეიმოდ აცხადებს თავის გადაწყვეტილებას — დაუყოვნებლივ მოაწეროს ხელი ზავს, რომელიც შეწყვეტს ომს დემოკრატიული, უკლებლივ ყველა ერისათვის თანასწორად სამართლიანი პირობებით.

ასე გაისმა პირველად მშვიდობის მძლავრი მოწოდება საბჭოეთის ქვეყნიდან. ამ მოწოდებას უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა ჰქონდა. ლენინს ღრმად სწამდა, რომ ზავის დადება კიდევ უფრო გააძლიერებდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის საერთაშორისო მნიშვნელობას: „რუსეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მაგალითი, — ამბობდა ლენინი, — ცოცხალ ნიმუშად ედგომებათ თვალწინ ყველა ქვეყნის ხალხებს და ამ ნიმუშის პროპაგანდისტული, გამარევოლუციურებელი მოქმედება გიგანტური იქნება“ (თხზულებანი, მე-3 გამოცემა, ტომი 22, გვ. 198). გერმანიასთან ზავის დადების წინააღმდეგ გაილაშქრეს ტროცკიმ, ბუხარინმა და მათმა დამქაშებმა, რომლებიც ამ დროს, როგორც ლენინი აღნიშნავდა, საქმით ეხმარებოდნენ გერმანელ იმპერიალისტებს. ბოლშევიკური პარტია გაჰყვა ლენინსა და სტალინს და 1918 წლის 3 მარტს ბრესტში დადებულ იქნა ზავი გერმანიასთან.

საერთაშორისო საკითხების მშვიდობიანი გზით მოწესრიგებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საბჭოთა მთავრობის მიერ ლენინის ინიციატივით მიღებულ გადაწყვეტილებას იმპერიალისტთა საიდუმლო დიპლომატიის უარყოფისა და რუსეთის მემამულეებისა და კაპიტალისტების მთავრობის მიერ დადებული საიდუმლო ხელშეკრულებების გამოქვეყნების შესახებ. 1917 წელს ლენინი აღნიშნავდა, რომ საბჭოთა მთავრობამ გამოაქვეყნა და კვლავაც გამოაქვეყნებს საიდუმლო ხელშეკრულებებს და ვერავითარი გაბოროტება და ვერავითარი ცილისწამება ვერ შეაჩერებს მას ამ გზაზე. ბატონი ბურჟუები, — ამბობდა ლენინი, — გაბოროტებული არიან იმის გამო, რომ ხალხი ხედავს, რისთვის მიერეკებოდნენ მას სასაკლაოზე. „...ჩვენ, — განაგრძობდა ლენინი, — ვერ შეგვაჩერებს ის ცოფიანი სიძულვილი, რომელსაც ბურჟუაზია იჩენს ჩვენდამი, ჩვენი მოძრაობისადმი მშვიდობისაკენ“.

ლენინის მიერ ამერიკული აგრესიული იმპერიალიზმის კრიტიკას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს დღეს, როცა ამერიკელი იმპერიალისტები მსოფლიო ბატონობაზე აცხადებენ პრეტენზიას და ახალ ომს ამზადებენ. ლენინი ნიღაბს ხდიდა ამერიკელ მონოპოლისტებს — მილიარდერებსა და მილიონერებს, რომელთაც პირველ მსოფლიო იმპერიალისტურ ომში უბრალო ადამიანების სისხლის ხარჯზე ასობით მილიარდი დოლარი ზემოგება მიიღეს „...ამერიკა ძლიერია, ახლა ყველა მისი მოვალეა, ყველაფერი მასზეა დამოკიდებული, ის სულ უფრო მეტად სძულთ, იგი ძარცვავს ყველას... მთელი ბურჟუაზიული ლიტერატურა მოწმობს ამერიკის წინააღმდეგ სიძულვილის ზრდას“, — ამბობდა ლენინი 1920 წელს (ტ. 31, გვ. 419-420). ლენინის ეს სიტყვები მთელი თავისი ძალით გაისმის დღეს. ამერიკელი იმპერიალისტები ძარცვავენ ევროპისა და აზიის მრავალ ქვეყანას, უსამართლო, მტაცებლურ ომს ეწევიან კორეელი ხალხის წინააღმდეგ. ამერიკის ავაზაკური იმპერიალიზმის აგრესიული პოლიტიკა იწვევს თავისუფლებისმოყვარე ხალხთა სიძულვილს ამერიკელი იმპერიალისტებისადმი. ამიტომ შემთხვევითი როდია, როცა ამერიკული რეაქციული ჟურნალი „სპოტლაიტი“ წერს: „სამხრეთკორეელებს, რომლებიც უკვე ცხოვრობენ „განთავისუფლების“ ჯოჯოხეთში, სძულვართ ახლა ჩვენ სასოწარკვეთილების ცივი, მწარე სიძულვილით“.

სამოქალაქო ომის პერიოდში საგარეო პოლიტიკის საკითხებზე თავის გამოსვლებში ლენინი ხაზგასმით აღნიშნავდა საბჭოთა მთავრობის მტკიცე მისწრაფებას მშვიდობისაკენ. ლენინი ამბობდა: „ჩვენი შემდგომი პოლიტიკური და სამეურნეო მიზანი ყველა ხალხის, მათ შორის შეერთებული შტატებისა და იაპონიის, მიმართ ერთია: ძმური კავშირი უკლებლივ ყველა ქვეყნის მუშებთან და მშრომელებთან“ (ტ. 29, გვ. 478). ამავე დროს ლენინი აფრთხილებდა იმპერიალისტებს, რომ არის ზღვარი, რომელსაც არ შეიძლება გავცდეთ, რომ ჩვენ არ დავუშვებთ დაცინვას სამშვიდობო ხელშეკრულებებზე, არ დავუშვებთ ცდებს — დაარღვიონ ჩვენი მშვიდობიანი შრომა.

* * *

მშვიდობის დაცვისათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის პასუხს (1920 წ. თებერვალი) ამერიკულ გაზეთ „ნიუ-იორკ ივნინგ ჯორნელის“ კორესპონდენტის შეკითხვებზე. თავის პასუხებში ლენინი გამოდის საბჭოთა ქვეყნისა და კაპიტალისტური ქვეყნების მშვიდობიანი თანაარსებობისა და

# ლენინის სახელობისა

ყოველივე დიადს, საუკეთესოს, შესანიშნავს, თავის ყოველ ახალ მონაპოვარს და გამარჯვებას საბჭოთა ხალხი სიყვარულითა და სიამაყით უწოდებს უკვდავი ლენინის სახელს, დიდი სტალინის სახელს...

ასობით და ათასობით ფაბრიკა და ქარხანა, შახტი და მაღარო, სარწყავი სისტემა და ჰიდროელექტროსადგური, კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა, ქალაქი და დაბა ატარებს ილიჩის სახელს. მათ შორის არის საბჭოთა საქართველოს ინდუსტრიის პირმშო — ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგური.

— ზაჰესს მთელი ქართველი ხალხი აშენებდა! — ამბობს ჰიდროელექტროსადგურის მთავარი ინჟინერი ვლადიმერ აბაშიძე, — 1922 წლის 10 სექტემბერს თბილისის ოთხი ათასზე მეტმა მშრომელმა სერგო ორჯონიკიძის ხელმძღვანელობით მოაწყო პირველი კომუნისტური შაბათობა მშენებლობაზე, 1927 წლის 26 ივნისს კი ზაჰესმა ქვეყანას მისცა პირველი ელექტროდენი.

ზაჰესის კოლექტივი ღირსეულად ატარებს ილიჩის სახელს. 24 წლის განმავლობაში სადგურმა რამდენიმე მილიარდი კილოვატ-საათი ენერგია გამოიმუშავა. დიდი გადაჭარბებით არის შესრულებული ელექტროენერგიის გამომუშავების 1951 წლის გეგმა, ამასთან მიღებულია 900.000 მანეთი ზეგეგმითი დაგროვება. ამ დღეებში ზაჰესელები ლენინურ ვახტზე დგანან და იმისათვის იბრძვიან, რომ თვის გეგმა 22 იანვრისათვის შეასრულონ, ვადამდე დაამთავრონ მეექვსე აგრეგატის გეგმიანი შეკეთება.

სადგურის კოლექტივი განუხრელად ასრულებს ილიჩის ანდერძს, მხარს უჭერს და წარმოებაში ფართოდ ნერგავს ყოველივე ახალს, მოწინავეს, პროგრესულს. ამით მიღწეულ იქნა ელექტრომოწყობილობისა და დანადგარების საიმედო ექსპლოატაცია, ელექტროენერგიის გაიაფება და მომსახურე პერსონალის 40 პროცენტით შემცირება.

ლენინის სახელობის ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურში ენერგეტიკოსთა შესანიშნავი კადრები აღიზარდნენ და დაწინაურდნენ. ყველაზე წინ მიდის სამანქანო საამქროს კოლექტივი, რომელმაც თავდადებული და შეწყობილი მუშაობით მაღალი კულტურის საამქროს საპატიო წოდება მოიპოვა. საამქროს უფროსი გ. ქაზზინაძე, ოსტატი გ. დიბლია, უფროსი მემანქანე გ. ამირანაშვილი, ზეინკალი გ. ყიფიანი მეტი და იაფი ელექტროენერგიისათვის ბრძოლის ბრწყინვალე ნიმუშებს იძლევიან. ასევე მაღალნაყოფიერად მუშაობენ ელექტროსაამქროს მოწინავე ადამიანები—საამქროს უფროსი ს. ელკინი, მორიგე ინჟინერი ქ. მაისურაძე, მორიგე ტექნიკოსი გ. გობიანიძე, ელექტრომონტიორი ი. მელნიკოვი და სხვები.

ზაჰესელები ამაყობენ იმით, რომ მუშაობენ და კომუნიზმის ახალი გამარჯვებებისათვის იბრძვიან ილიჩის სახელობის ჰიდროელექტროსადგურში; ამაყობენ იმით, რომ ზაჰესის ენერგია სიცოცხლესა და ძალას აძლევს ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობასა და ტრანსპორტს, სინათლეს აწვდის საკოლმეურნეო სოფლებს; ამაყობენ იმით, რომ სადგურის კოლექტივის წარმატებებში, მის სახელოვან საქმეებში ცოცხლობს ვლადიმერ ილიას ძე ლენინი—მთელი მსოფლიოს მშრომელთა დიდი ბელადი და მასწავლებელი.

ვ. შავგულიძე

# ლენინის ორდენოსნები — წარმოების ნოვატორები

თბილისის მრეწველობის მრავალ მოწინავე ადამიანს მკერდს უმშვენებს ლენინის ორდენი. ეს საპატიო და უმაღლესი ჯილდო მათ გმირული, ნოვატორული შრომით დაიმსახურეს, თავისუფალი მშვიდობიანი შრომის სიყვარული, საბჭოთა პატრიოტიზმი, მაღალი სოციალისტური შეგნება ამ ადამიანთა დამახასიათებელი თვისებებია.

ლენინის ორდენოსან სტახანოველთა შრომა ყველასათვის სამაგალითო და მისაბაძია.

ორთქლმავალ - ვაგონშემკეთებელი ქარხნის სამჭედლო საამქროში მონოტონურად სცემს სამჭედლო ურო. კუნთმაგარი ვაჟკაცის ხელში მორჩილად ბრუნავს და სასურველ ფორმას იღებს გავარვარებული რკინის ზოდი, რომელიც უროს ყოველ დარტყმაზე ირგვლივ ნაპერწკლებს აფრქვევს... იგი სტახანოვური შრომით სახელგანთქმული კონსტანტინე ილურიძეა. მოწინავე მჭედელმა შარშან სამი წლის ნორმა გამოიმუშავა. წელს ლენინის დღეებთან დაკავშირებით სტახანოვურ ვახტზე დადგა და უკვე გაანაღდა იანვრისა და თებერვლის დავალება. ორთქლმავლის ყველაზე რთულ და საპასუხისმგებლო დეტალებს გამოსაჭედად კონსტანტინე ილურიძეს აძლევენ. იციან, დახელოვნებული მჭედელი დავალებას სწრაფად და საუკეთესო ხარისხით შეასრულებს.

26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელ ქარხანაში საყოველთაო სიყვარული დაიმსახურა ვასილ კორძაძემ. წარმოების ამ ნოვატორმა სამუშაო დროის მაქსიმალური შემჭიდროებით შრომის მაღალნაყოფიერებას მიაღწია. ყოველდღიურ დავალებას იგი 400-450 პროცენტით ასრულებს. როგორც წინაწლებში, შარშან მან 4 წლის ნორმა გამოიმუშავა, დროს დიდად გაუსწრო და ამჟამად პროდუქციას 1970 წლის ანგარიშში უშვებს. ვასილ კორძაძემ ახალი საწარმოო მიღწევებით აღნიშნა დიდი ბელადისა და მასწავლებლის ვლადიმერ ილიას ძე ლენინის ხსოვნა. ლენინის დღეებში სტახანოვურ ვახტზე დადგა და იანვრის 20 დღეში 4 თვის გეგმა გაანაღდა.

თბილისის საელმავლო დეპოს აწევითი შეკეთების საამქროში მაღალნაყოფიერად შრომობს ოსტატი ილია ტიურინი, რომელიც ხანგრძლივი და უმწიკვლო მუშაობისათვის ლენინის ორდენით არის დაჯილდოებული. მისი უნარიანი ხელმძღვანელობით საამქრომ 1951 წლის გეგმა 127 პროცენტით შეასრულა, გეგმის გადამეტებით ჩქაროსნული მეთოდით 2 ელმავალი შეაკეთა, რითაც სამშობლოს საგრძნობი ეკონომია მისცა.

ლენინის ორდენოსნები — მოწინავეთა შორის მოწინავე ადამიანები, — მაღალნაყოფიერი, ნოვატორული შრომით აღნიშნავენ ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს შემქმნელის — დიდი ლენინის უკვდავ ხსოვნას. მათ ყოველდღიურად პატრიოტული საქმეებისათვის აღაფრთოვანებს ლენინის დიადი იდეები.

მ. აროშიძე

---

თანამშრომლობის შესაძლებლობიდან. ლენინმა უპასუხა კორესპონდენტს შეკითხვაზე იმის შესახებ, თუ როგორია „ამერიკასთან მშვიდობის საფუძვლები“:

„ნუ გვახლებენ ხელს ამერიკელი კაპიტალისტები. ჩვენ მათ ხელს არ ვახლებთ. ჩვენ მზადა ვართ ოქროთიც კი გადავუხადოთ მათ ტრანსპორტისა და წარმოებისათვის სასარგებლო მანქანების, იარაღებისა და სხვა საქონლის ღირებულება. და არა მარტო ოქროთი, არამედ ნედლეულითაც“. კითხვაზე, „რა აბრკოლებს ასეთ მშვიდობას?“ ლენინმა უპასუხა: „ჩვენი მხრივ არაფერი. იმპერიალიზმი, ამერიკელი (როგორც ყოველგვარი სხვა) კაპიტალისტების მხრივ“ (ტ. 30, გვ. 340).

პირველად აზრი ორი სისტემის თანამშრომლობის შესახებ ლენინმა გამოთქვა და საბჭოთა ადამიანებს, რომლებიც ურყევნი არიან ლენინის ანდერძისა, არასოდეს არ გადაუხვევიათ თავიანთი დიდი მასწავლებლის — ლენინის მითითებებისათვის. ამხანაგ სტალინს თავის მხრივ არაერთხელ გამოუთქვამს აზრი სოციალისტური და კაპიტალისტური სისტემების მშვიდობიანი თანაარსებობისა და თანამშრომლობის შესაძლებლობის შესახებ. კერძოდ, 1946 წელს ელიოტ რუზველტის შეკითხვაზე — შესაძლებელია თუ არა ამერიკისა და საბჭოთა კავშირის მშვიდობიანი თანაარსებობა, — ამხანაგმა სტალინმა უპასუხა: „დიახ, რა თქმა უნდა. ეს არა მარტო შესაძლებელია. ეს გონივრული და სავსებით განსახორციელებელია. ომის პერიოდში უაღრესად დაძაბულ დროს მმართველობის ფორმის განსხვავებამ ხელი ვერ შეუშალა ჩვენს ორ ქვეყანას გაერთიანებულიყვნენ და დაემარცხებინათ ჩვენი მტრები. ამ ურთიერთობის შენარჩუნება კიდევ უფრო მეტად შესაძლებელია მშვიდობიან დროს“.

ლენინისა და სტალინის მითითებები სოციალისტური და კაპიტალისტური სისტემების თანამშრომლობის შესაძლებლობის შესახებ აღაფრთოვანებს მშვიდობისათვის მებრძოლთა უძლეველ არმიას და უნერგავს მას გამარჯვების ღრმა რწმენას. მშვიდობის მსოფლიო საბჭოს თავმჯდომარე ჟოლიო კიური სამართლიანად აღნიშნავდა: უარჰყო სოციალისტური და კაპიტალისტური სისტემების თანაარსებობისა და თანამშრომლობის შესაძლებლობა — ნიშნავს გაიზიარო ომის გარდუვალობის თეზისი და დადგე ომის გამჩაღებელთა პოზიციებზე. ომის გარდუვალობას მხოლოდ ამერიკელ-ინგლისელი იმპერიალისტები და მათი თანამოაზრენი ქადაგებენ.

მშვიდობისა და დემოკრატიისათვის მებრძოლთ მუდამ ახსოვთ ლენინის მითითებები იმის შესახებ, რომ მასებისათვის ომის მიზეზების, ამოცანების და ომის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებების კონკრეტულ, ცოცხალ მაგალითებზე განმარტებას დიდი მნიშვნელობა აქვს მშვიდობის შენარჩუნებისათვის ბრძოლის საქმეში. „...ფართო კამპანიას მშვიდობის დასაცავად, — გვასწავლის ამხანაგი სტალინი, — როგორც ომის გამჩაღებელთა დანაშაულებრივი მაქინაციების გამოაშკარავების საშუალებას, ახლა პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს“.

საბჭოთა მთავრობა მშვიდობის დიდი მედროშის ამხანაგ სტალინის მეთაურობით მტკიცედ და თანმიმდევრულად ატარებს ლენინურ-სტალინურ სამშვიდობო პოლიტიკას. საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკა გამოხატავს მსოფლიოს თავისუფლებისმოყვარე ხალხების ინტერესებს. ახორციელებს რა თავის მშვიდობიან მშენებლობას, სსრ კავშირი ამით იცავს მშვიდობას ყველა ხალხისათვის. მშვიდობისათვის მებრძოლთა ავანგარდში დგას ლენინისა და სტალინის მიერ შექმნილი საბჭოთა სახელმწიფო, კომუნიზმის მშენებელი გმირი საბჭოთა ხალხი. ამაშია მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლის ფრონტის უძლეველობის საწინდარი.

გ. მელაძე

# სოფელი მჭადიჯვარი ძველად და ახლა

**დუშეთი.** (საკ. კორ.). მჭადიჯვარი ისტორიაში ცნობილი სოფელია. მის მიდამოებში ბევრი სახელოვანი ბრძოლა მომხდარა სამშობლოს დასაცავად.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე მჭადიჯვარი მიყრუებული სოფელი იყო. აქ არ არსებობდა სკოლა ან სხვა რაიმე კულტურული დაწესებულება. აუტანელ გაჭირვებასა და დამცირებას განიცდიდნენ მჭადიჯვრელი გლეხები. ამიტომ ისინი არაერთხელ გამოსულან იარაღით ხელში თვითმპყრობელობისა და მენშევიკების წინააღმდეგ საბრძოლველად.

უკანასკნელი სამი ათეული წლის მანძილზე სოფელმა მთლიანად იცვალა სახე. აქ არსებობს სტალინის სახელობის მსხვილი კოლმეურნეობა. სოფელს აქვს საშუალო სკოლა, საავადმყოფო, აფთიაქი, კლუბი, სამკითხველო, კინოთეატრი და ვეტერინარული ამბულატორია. კოლმეურნეთა უმრავლესობა კეთილმოწყობილ სახლებში ცხოვრობს.

საკოლმეურნეო სოფელს ჰყავს საკუთარი ინტელიგენცია: ექიმები, მასწავლებლები, აგრონომები, მეცხოველეობის სპეციალისტები.

კოლმეურნეობაში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა 70 პროცენტი მექანიზებულია. ამჟამად მჭადიჯვარში გაჰყავთ ელექტროგადამცემი ხაზი. განახლებულ სოფელს მალე ელექტრონი გაანათებს.

# ტრაქტორებმა მინდვრად მუშაობა დაიწყეს

**თელეთი.** (სპეც. კორ.). მტს-ის მუშაკებმა მიმდინარე წელი ახალი მიღწევებით დაიწყეს. მათ ვადაზე 2 თვით და 10 დღით ადრე დაამთავრეს ტრაქტორებისა და მისაბმელი ინვენტარის შემოდგომა-ზამთრის რემონტი, უკვე დააკომპლექტეს სატრაქტორო ბრიგადები და 17 იანვრიდან კოლმეურნეობებში დაიწყეს საგაზაფხულო ხვნა, მზრალის კულტივაცია, ფარცხვა.

მტს-ის სატრაქტორო პარკი უზრუნველყოფილია საწვავ-საცხები მასალებით, სათადარიგო ნაწილებით, ორცვლიანი მუშაობისათვის საჭირო ელექტროგანათებით და კადრებით.

მეორე და მესამე სატრაქტორო ბრიგადები (ბრიგადირები ი. ჯამალაშვილი და ს. სარუხანოვი) მუშაობენ თელეთის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობაში, პირველი და მეექვსე სატრაქტორო ბრიგადები (ბრიგადირები ს. არუთინოვი და ნ. კახელაშვილი) — კუმისის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში, მეოთხე ბრიგადა (გ. კირილიჩენკო)—სოღანლუღის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში და სხვ.

მიმდინარე წლის სამუშაოთა წარმატებით შესრულებისათვის თელეთის მტს-ი (დირექტორი გ. მორჩილაძე, მთავარი მექანიკოსი გ. გოგოლიძე) სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმულია მარტყოფისა და დიღმის მტს-თან. თელეთლები კისრულობენ პირობით ხვნაზე გადაყვანით წელს დაამუშაონ 25.000-მდე ჰექტარი ფართობი, ნაცვლად გასული წლის გეგმით გათვალისწინებული 17.000 ჰექტარისა, აამაღლონ კოლმეურნეობებში მექანიზაციის დონე (ხვნის, თესვის და კულტივაციისა—90 პროცენტამდე, თავთავიანი კულტურების მოსავლის აღებისა—85 პროცენტამდე) და გაზარდონ ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობა.

მტს-ს გათვალისწინებული აქვს თებერვლის პირველ რიცხვებში დაიწყოს ქერისა და მზესუმზირას თესვა.

# რუსთავში 50.000 ძირი ნერგი მიიღეს

**რუსთავი.** (საკ. კორ.). ამას წინათ რუსთავში ბათუმიდან, ქობულეთიდან, ფოთიდან და ანაკლიიდან მიიღეს პალმის, ბზის, ფორზიციის, ხურმისა და სხვა სუბტროპიკულ-დეკორაციულ მცენარეთა 50.000 ძირი ნერგი, რომლებიც უმთავრესად დაირგვება ცენტრალური პროსპექტისა და ქალაქის ქუჩების გაზონებში, სკვერებში და ქარსაცავ ზოლებში.

ნერგების გასაშენებლად ნიადაგის დამუშავება უკვე დაწყებულია.

# სამეცნიერო კონფერენცია

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტთა სამეცნიერო წრემ პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით მოაწყო სამეცნიერო კონფერენცია, მიძღვნილი რსდმპ პრაღის კონფერენციის 40 წლისთავისადმი.

თემაზე „ბოლშევიკების გაფორმება დამოუკიდებელ მარქსისტულ პარტიად (პრაღის პარტიული კონფერენცია 1912 წ.)“ — მოხსენება გააკეთა მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრის ასპირანტმა ს. ნასარიძემ.

მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ასპირანტებმა ბ. ლუტიძემ, მ. ცისკარიშვილმა, ბ. კაპანაძემ, ს. გოგელიამ და სხვებმა.

# დემოკრატიული გერმანიის კინოხელოვნება

ძლევამოსილმა საბჭოთა არმიამ დიდი ბელადისა და მხედართმთავრის ამხანაგ სტალინის წინამძღოლობით გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა ფაშისტურ ურდოებს და თავისუფლება მოუტანა ევროპის ხალხებს.

საბჭოთა კავშირის მიერ ჰიტლერული ფაშიზმის განადგურებამ გერმანელ ხალხს ისტორიაში პირველად გაუხსნა თავისუფალი, დემოკრატიული ცხოვრების გზა, ყველა ხალხთან მშვიდობიანი ურთიერთობისა და მეგობრობის გზა.

საბჭოთა კავშირის უანგარო დახმარებითა და დიდსულოვანი მხარდაჭერით 1949 წლის 7 ოქტომბერს აღმოსავლეთ გერმანიაში შეიქმნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა.

გერმანიის ახალგაზრდა დემოკრატიულმა რესპუბლიკამ სერიოზული წარმატებები მოიპოვა სახელმწიფო, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ხაზით. გერმანელი ხალხი უდიდესი ენერგიით ეწევა ჰიტლერელი ბარბაროსების მიერ დანგრეული ქვეყნის აღდგენას. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის მოწინავე მოღვაწეები თავდადებულად მუშაობენ დემოკრატიული ხელოვნების შესაქმნელად. ომის დამთავრებისთანავე გერმანიის კინემატოგრაფიის პროგრესულმა მოღვაწეებმა საბჭოთა კავშირის დახმარებით შექმნეს შემოქმედებითი საზოგადოება „დეფა“.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კინემატოგრაფიამ მოკლე ხნის განმავლობაში გამოუშვა მთელი რიგი მაღალიდეური და პოლიტიკურად მახვილი ფილმები.

დემოკრატიული გერმანიის კინემატოგრაფია განიცდის საბჭოთა კინოხელოვნების კეთილნაყოფიერ გავლენას. კინოსტუდია „დეფას“ საუკეთესო ოსტატები გულმოდგინედ სწავლობენ საბჭოთა კინემატოგრაფიის მიღწევებს, იყენებენ მის მდიდარ გამოცდილებას.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კინოსტუდია „დეფამ“ უკვე ორმოცდაათამდე მხატვრული კინოფილმი გამოუშვა. საბჭოთა მაყურებელი კარგად იცნობს ბევრ მათგანს. ამა წლის 10-დან 16 იანვრამდე მოსკოვში, ლენინგრადში, სტალინგრადში და მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებში ჩატარდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კინოფილმების ფესტივალი.

ფესტივალზე უჩვენეს კინოფილმები: „მატარებლები რეგულარულად არ დადიან“, „სახიფათო რეისი“, „ერთი ოჯახის ისტორია“, „ღმერთების ბჭობა“, „პური ჩვენი არსობისა“, „მიხაკისფერი ქსელი“, „ჰრელკუბოკრული“, „ისინი ვერ დაიმალებიან“, „მუდამ მზად ვარ“ და „დემოკრატიული გერმანია“.

მხატვრულ ფილმს — „მატარებლები რეგულარულად არ დადიან“ (დადგმა რეჟისორ ერიხ ფრეინდისა, სცენარი პ. ბეიახასი და გ. ტუროვსკისა) პირველად უჩვენებენ საბჭოთა კავშირის კინოთეატრების ეკრანებზე. სურათი მოგვითხრობს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის რკინიგზელებისა და სახალხო პოლიციის სიფხიზლეზე, მათს ბრძოლაზე დივერსანტებთან და ჯაშუშებთან, რომლებსაც ინგლისელ-ამერიკელი იმპერიალისტები გზავნიან ბერლინის აღმოსავლეთ სექტორში.

ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის იმპერიალისტთა მმართველი წრეები გამალებით ამზადებენ ახალ მსოფლიო ომს. ისინი დასავლეთ გერმანიას აქცევენ აგრესიისა და ომის ძირითად პლაცდარმად ევროპის კონტინენტზე. ჯაშუშები და მკვლელები შეთქმულების ათასგვარ ქსელს ხლართავენ. ფილმი „მატარებლები რეგულარულად არ დადიან“ მოუწოდებს გერმანელ ხალხს, გერმანიის ყველა ნამდვილ პატრიოტს აქტიურად იბრძოლონ ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ.

ფესტივალის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე თბილისის კინოთეატრებში ნაჩვენები იქნა „დეფას“ ახალი მხატვრული ფილმი „სახიფათო რეისი“. სურათი დადგმულია რეჟისორ ე. ფიდლერის მიერ ლ. ტურეკის რომანის მიხედვით. იგი მოგვითხრობს გერმანელი და ფრანგი მეზღვაურების მეგობრობაზე, მათს ბრძოლაზე ფაშიზმის წინააღმდეგ.

საბჭოთა მაყურებელი კარგად იცნობს რეჟისორ ვ. შტაუდეს მიერ დადგმულ ფილმს „ისინი ვერ დაიმალებიან“. მასში ამაღელვებლად არის მოთხრობილი ექიმ მარტენსის ტრაგიკული ისტორია. მარტენსი ომის დროს ფრონტზე იმყოფებოდა და საკუთარი თვალით ნახა ფაშისტური არმიის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე ჩადენილი შემაძრწუნებელი მხეცობა. ჰიტლერელთა არმიის განადგურების შემდეგ მარტენსი ბერლინში ბრუნდება. ახალგაზრდა ექიმის ფსიქიკაში ღრმა კვალი დატოვა ფაშისტი ჯალათების სისხლიანმა ბოროტმოქმედებებმა. ის მოწმე იყო პოლონეთის სოფელში უდანაშაულო ადამიანების დახოცვისა ჰიტლერელი კაპიტნის ბროუკნერის ბრძანებით. მას არ შეუძლია დაივიწყოს ეს საშინელება.

მარტენსი ბერლინში ხვდება კაპიტან ბროუკნერს და განიზრახავს მოკლას იგი. მაგრამ სიუზანა აჩერებს მას და ეუბნება, რომ მათ არა აქვთ უფლება ასე უბრალოდ გაუსწორდნენ მას.

— ჩვენ მათ წავუყენებთ ბრალდებას და მოვითხოვთ შურისძიებას უდანაშაულოდ დახოცილ მილიონობით ადამიანთა სახელით.

ეს არის სიტყვა მშრომელი გერმანელი ხალხისა, ბრალდება სამხედრო დამნაშავეებისადმი, რომლებმაც უსაზღვრო ტანჯვა მიაყენეს ხალხებს.

რეჟისორ ვ. შტაუდეს მეორე სურათში „მიხაკისფერი ქსელი“ ასახულია პატიოსანი გერმანელი მუშის ბედი. ფილმის მთავარი გმირი ჰანს ბენკე უარყოფს ფაშიზმს. ამის გამო მას უდიდეს ტანჯვას აყენებენ ჰიტლერელი ჯალათები. მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ბენკე უბრუნდება მშობლიურ კერას და აქტიურ მონაწილეობას იღებს ახალი, მშვიდობისმოყვარე, დემოკრატიული გერმანიის მშენებლობაში.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კინოხელოვნების საუკეთესო ნაწარმოებთა რიცხვს ეკუთვნის რეჟისორ კურტ მეტციგის ფილმი „ჰრელკუბოკრული“. სურათი მოიცავს საკმაოდ დიდ პერიოდს, ვილჰელმის გერმანიიდან ჩვენს დღეებამდე. მისი მთავარი მოქმედი პირია უბრალო გერმანელი ქალი ავგუსტა, რომელმაც ცხოვრების მეტად მძიმე გზა განვლო. ფილმში ნაჩვენებია, რომ გერმანელი ხალხისათვის ერთადერთი სწორი გზაა მშვიდობისმოყვარე, ნამდვილად დემოკრატიული გერმანიის მშენებლობა.

ყურადღებას იპყრობს რეჟისორ ზოლტან ფოდორის მიერ შექმნილი ფილმი „პური ჩვენი არსობისა“. სურათში მოთხრობილია ომისშემდგომი პერიოდის გერმანიის ერთი ოჯახის ისტორია. ოჯახის ერთი წევრი აქტიურად იბრძვის მშვიდობისმოყვარე, დემოკრატიული გერმანიის მშენებლობისათვის, სხვები კი სპეკულაციისა და დანაშაულის გზით ეძებენ იოლ გამორჩენას. იმარჯვებს პროგრესული, იმარჯვებს ის, ვინც ცხოვრებაში სწორი და ნამდვილი გზა აირჩია.

ამერიკელი იმპერიალისტები მიისწრაფვიან გადააქციონ გერმანია ახალი მსოფლიო ომის კერად. გერმანელი ხალხი სულ უფრო და უფრო რწმუნდება, რომ ერთიანობისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა განუყრელად არის დაკავშირებული მშვიდობისათვის ბრძოლასთან. რეჟისორ გეორგ კლარენსის მიერ დადგმული ფილმი „ერთი ოჯახის ისტორია“ მოუწოდებს გერმანელ ხალხს არ დაუშვას ახალი ომი, რომელსაც მსოფლიო ბატონობის ახალი, ამერიკელი პრეტენდენტები ამზადებენ. ფილმის სცენარი დაწერილია პოლონელი მწერლის ლეონ კრუჩკოვსკის პიესა „გერმანელების“ მიხედვით. ფილმი იწყება 1943 წლის ამბებით. მისი მთავარი მოქმედი პირია გამოჩენილი გერმანელი ბიოლოგი ვალტერ ზონენბრუკი. ის წინააღმდეგია ფაშიზმისა, მაგრამ აქტიურად არ იბრძვის ჰიტლერული რეჟიმის წინააღმდეგ. მას საკმარისად მიაჩნია ის, რომ სძულს ფაშიზმი. შემდეგში მოვლენათა მსვლელობით მოხუცი ზონენბრუკი რწმუნდება, რომ პატიოსან ადამიანად დარჩენა არ შეიძლება, თუ არ იბრძვი მშვიდობისა და დემოკრატიისათვის.

სურათში მოცემულია ოჯახის წევრთა დაპირისპირება. ერთნი მხარს უჭერენ ჰიტლერელთა ბანდების გაუგონარ მხეცობას, მათს შემაძრწუნებელ ბოროტმოქმედებას, მეორენი კი შეუპოვარ ბრძოლას ეწევიან ფაშისტური რეჟიმის წინააღმდეგ.

ფილმში ნაჩვენებია, როგორ გაანადგურა ჰიტლერული ფაშიზმი ძლევამოსილმა საბჭოთა არმიამ და გაათავისუფლა ხალხები ნაცისტური ტირანიისაგან. მაგრამ განადგურებული გერმანიის იმპერიალიზმის შემცვლელად გამოდის ამერიკის იმპერიალიზმი.

[illegible] ძალებს შორის კვლავ გრძელდება. გერმანელები, რომლებისთვისაც ძვირფასია სამშობლოს ინტერესები, დემოკრატიისა და მშვიდობისათვის ბრძოლის აქტიური მონაწილენი უნდა გახდნენ.

ფილმში ვალტერ ზონენბრუკის წარმტაც სახეს ქმნის ნაციონალური პრემიის ლაურეატი, ცნობილი გერმანელი მსახიობი ედუარდ ვინტერშტაინი.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კინოხელოვნების შესანიშნავ ნაწარმოებთა რიცხვს ეკუთვნის რეჟისორ კურტ მეტციგის მიერ დადგმული ფილმი „ღმერთების ბჭობა“ ფ. ვოლფისა და ფ. გეხტას სცენარის მიხედვით.

სურათისათვის გამოყენებულია გერმანიის უდიდესი კონცერნის „ი. გ. ფარბენინდუსტრის“ ისტორია.

ფილმის ერთ-ერთი მთავარი მოქმედი პირია ნიჭიერი ქიმიკოსი დოქტორი შოლცი (მსახიობი ფრიც ტალმანი). შოლცი პირველ ხანებში ფიქრობს, რომ მეცნიერება პოლიტიკის გარეშე დგას, მაგრამ მალე რწმუნდება, რომ ის მწარედ ცდებოდა. შოლცი გაიგებს, რომ მის მიერ აღმოჩენილი ახალი ძლიერი მომწამვლელი ნივთიერება ფარულად იგზავნება ოსვენციმისა და სხვა საკონცენტრაციო ბანაკებში, სადაც მას იყენებენ ათეული ათასობით უდანაშაულო ადამიანის მოსასპობად.

სურათში დიდი ადგილი უკავია ფაშისტური გერმანიის დამარცხების შემდეგ მოწყობილ „ი. გ. ფარბენინდუსტრის“ ხელმძღვანელთა სასამართლო პროცესს. პროცესზე ამერიკელი იმპერიალისტები გამოდიან ომის დამნაშავეთა დამცველებად. მათი დახმარებით კონცერნის განთავისუფლებული ხელმძღვანელები კვლავ იწყებენ ახალი მსოფლიო ომისათვის იარაღის დამზადებას.

მტკიცე შემოქმედებითი კავშირი დამყარდა საბჭოთა კავშირის და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხელოვნების მუშაკთა შორის.

საბჭოთა კინომუშაკებმა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კინომუშაკებთან თანამშრომლობით შექმნეს შესანიშნავი ფერადი დოკუმენტალური ფილმი „დემოკრატიული გერმანია“ (სცენარი და დადგმა რეჟისორ გ. სალკოვიჩისა, ოპერატორი გ. ბობროვი).

სურათის პირველ კადრებში ასახულია გერმანელი ხალხის ზეიმი 1949 წლის 7 ოქტომბერს, როდესაც ევროპის ცენტრში შეიქმნა ახალი დემოკრატიული რესპუბლიკა.

ფილმში მოკლედ არის გადმოცემული ნაცისტური ტირანიის შავბნელი წლები.

სურათში მთავარი ადგილი უჭირავს ომისშემდგომი წლების გერმანიის ჩვენებას. ჩვენ ვხედავთ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ინდუსტრიულ პეიზაჟს, მუშათა თავდადებულ შრომას. გერმანელი ხალხი უდიდესი ენერგიით ეწევა ჰიტლერელი ბარბაროსების მიერ დანგრეული ქვეყნის აღდგენას. მთელ რიგ კადრებში ასახულია მიწის რეფორმის გატარება.

მაგრამ ფილმში მარტო აღმოსავლეთი გერმანია როდია ნაჩვენები. მაყურებლის თვალწინ იშლება დასავლეთ გერმანიის ცხოვრების საშინელი სურათები. ეკრანზე მოჩანს შიმშილით გაწამებულ უმუშევარ ადამიანთა მთელი არმია, ქალაქ კელნის ნანგრევები.

შემდეგი კადრები კვლავ ახალი დემოკრატიული რესპუბლიკის შრომით გამარჯვებებზე მოგვითხრობს.

ფილმში საინტერესო ეპიზოდია მიძღვნილი იენის უნივერსიტეტისადმი. გერმანიის ამ უძველეს უნივერსიტეტში 23 წლის კარლ მარქსმა დაიცვა თავისი სადოქტორო დისერტაცია.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა მტკიცედ დგას მშვიდობის დიდ ბანაკში, რომელსაც საბჭოთა კავშირი მეთაურობს.

ახალგაზრდა რესპუბლიკის კინოხელოვნების მუშაკები თავიანთი შემოქმედებით აქტიურად მონაწილეობენ მშვიდობისმოყვარე, ერთიანი, დემოკრატიული გერმანიის მშენებლობაში.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კინოფილმების პირველმა ფესტივალმა გვიჩვენა ახალგაზრდა რესპუბლიკის კინოხელოვნების იდეური ზრდა.

იგი კიდევ უფრო განამტკიცებს მეგობრობას საბჭოთა კავშირისა და გერმანიის კინოხელოვნების მუშაკთა შორის.

ნ. შველიძე

# ავსტრიასთან ხელშეკრულების შესახებ სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეების თათბირის საკითხისათვის

**ლონდონი,** 19 იანვარი. (საკდესი). როგორც საკდესის კორესპონდენტმა შეიტყო, 1951 წლის 28 დეკემბერს დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ სსრ კავშირის ელჩს ლონდონში ამხ. ზარუბინს გაუგზავნა წერილი, რომლითაც აუწყებდა, რომ მიღებულია თხოვნა ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლისა, რომელიც ავსტრიასთან ხელშეკრულების მომზადების საკითხზე საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეების მორიგი სხდომის თავმჯდომარეა, წინადადებით—მოწვეულ იქნას მოადგილეთა სხდომა ამა წლის 21 იანვარს ლონდონში.

ამ მიმართვის პასუხად 18 იანვარს საბჭოთა კავშირის საქმეთა რწმუნებულმა ლონდონში ამხ. ეროფეევმა დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს გაუგზავნა შემდეგი შინაარსის წერილი:

„ვადასტურებ რა თქვენი 1951 წლის 28 დეკემბრის წერილის მიღებას 21 იანვარს ლონდონში ავსტრიასთან სახელმწიფო ხელშეკრულების მომზადების შესახებ საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეების თათბირის მოწვევის საკითხზე, საჭიროდ მიმაჩნია განვაცხადო შემდეგი:

როგორც ცნობილია, საბჭოთა დელეგაციამ საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეთა წინა თათბირზე შეიტანა წინადადება — ავსტრიის ოთხივე ზონაში მოხდეს ავსტრიის მთავრობის მიერ დემილიტარიზაციის და დენაციფიკაციის შესახებ ოთხი სახელმწიფოს გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმება, რათა სამოკავშირეო საბჭომ წარმოადგინოს ანგარიში ამ შემოწმების შედეგების შესახებ. ასეთი შემოწმება ამჟამად უფრო საჭიროა, ვიდრე წინათ.

საბჭოთა დელეგაციას მოადგილეთა თათბირზე არაერთგზის აღუნიშნავს აგრეთვე ის, რომ შექმნილ გარემოებებში ავსტრიასთან ხელშეკრულების საკითხი არ შეიძლება განხილულ იქნას იმ საკითხისაგან დამოუკიდებლად, რომელიც შეეხება იტალიასთან საზავო ხელშეკრულებით ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და საფრანგეთის მთავრობების მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას იმ ნაწილში, რომელიც ეხება ტრიესტის თავისუფალი ტერიტორიის შექმნას, რაც დღემდე არ გაკეთებულა ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის წინააღმდეგობის გამო, ხოლო ტრიესტი გადაქცეულია ინგლის-ამერიკის სამხედრო ბაზად. ასეთ გარემოებებში რა გარანტიაა, რომ შესრულდება ავსტრიასთან დასადები ხელშეკრულება.

მოადგილეთა ახალი თათბირის მოწვევის შესახებ წინადადებასთან დაკავშირებით საბჭოთა დელეგაცია გთხოვთ გვაცნობოთ დიდი ბრიტანეთის მთავრობის, აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატებისა და საფრანგეთის მთავრობათა თანხმობა, რათა მოადგილეთა ამ თათბირზე განხილულ იქნას საბჭოთა დელეგაციის ზემოაღნიშნული წინადადებანი ავსტრიაში ოთხმხრივი შემოწმების მოხდენისა და ტრიესტის თავისუფალი ტერიტორიის თაობაზე გადაწყვეტილების შესრულების შემოწმების შესახებ.

ამ წერილის ასლები მე გავუგზავნე აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების და საფრანგეთის წარმომადგენლებს მოადგილეთა თათბირზე ავსტრიის ხელშეკრულების პროექტის მომზადების შესახებ“.

# გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეექვსე სესია

## პოლიტიკური კომიტეტი შეუდგა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ახალი წევრების მიღების საკითხის განხილვას

**პარიზი**, 18 იანვარი. (საქდესის სპეც. კორ.). დღეს პოლიტიკური კომიტეტი შეუდგა თავისი დღის წესრიგის მორიგი პუნქტის—გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ახალი წევრების მიღების საკითხის განხილვას.

ეს საკითხი ახალი როდია. ალბანეთმა, რომელიც ფაშისტური აგრესიის ერთ-ერთი პირველი მსხვერპლი იყო და მის წინააღმდეგ გმირულ ბრძოლას ეწეოდა, ჯერ კიდევ 6 წლის წინათ, 1946 წლის იანვარში, შეიტანა განცხადება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად მიღების შესახებ.

იმავე 1946 წელს განცხადება შეიტანა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკამ, რომელმაც აქტიური მონაწილეობა მიიღო იაპონიის წინააღმდეგ ომში და თავისი წვლილი შეიტანა ევროპაში ფაშისტი აგრესორების წინააღმდეგ ბრძოლაში.

1947 წელს განცხადებანი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად მიღების შესახებ შეიტანეს ბულგარეთმა, უნგრეთმა და რუმინეთმა, რომელთა ხალხებმაც დაამხეს საძულველი ფაშისტური რეჟიმები, აქტიური მონაწილეობა მიიღეს ომში ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ, არსებითი წვლილი შეიტანეს ფაშისტი აგრესორების განადგურების საერთო საქმეში და, დაამყარეს რა თავიანთ ქვეყნებში ნამდვილი დემოკრატიული წყობილება, მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოთა რიგებში შევიდნენ.

სხვადასხვა დროს განცხადება გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში წევრად მიღების შესახებ შეიტანეს ტრანსიორდანიამ, ირლანდიამ, პორტუგალიამ, იტალიამ, ფინეთმა, ავსტრიამ, ცეილონმა და ნეპალმა.

ამრიგად, 13 სახელმწიფო უკვე დიდი ხანია თხოულობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მიღებას. მაგრამ საკითხი მათი მიღების შესახებ, რომელიც 1946 წლიდან ბევრჯერ განიხილა უშიშროების საბჭომ, დღემდე გადაუჭრელია ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის, აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების დიქტატს მორჩილი მთელი რიგი სხვა სახელმწიფოების მთავრობათა მიერ დაკავებული არასწორი, წესდების შეუსაბამო პოზიციის გამო. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მე-4 მუხლის ნათელი და ზუსტი აზრის თანახმად, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად შეიძლება მიღებულ იქნას ყველა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფო, რომელიც იკისრებს წესდებაში აღნიშნულ ვალდებულებებს და რომელსაც, ორგანიზაციის აზრით, შეუძლია და სურს შეასრულოს ეს ვალდებულებანი. მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატები და მათი მხარდამჭერი სახელმწიფოები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ახალი წევრების მიღების საკითხის გადაჭრისას მუდამ ემყარებოდნენ და ემყარებიან არა წესდების ამ დებულებას, არამედ თავიანთ სურვილს რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია გადააქციონ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის აგრესიული საგარეო პოლიტიკის განხორციელების მორჩილ იარაღად. ამიტომ ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელი უშიშროების საბჭოში, ემყარებოდა რა ინგლისისა და ანგლო-ამერიკის ბლოკის სხვა მონაწილეთა მხარდაჭერას, მუდამ დაჟინებით მოითხოვდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მიიღონ მხოლოდ ის ქვეყნები, რომლებიც ემორჩილებიან ამერიკის კარნახს, და აბრკოლებდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მიღებას, რომლებიც ახორციელებენ თავიანთ სუვერენულ პოლიტიკას და რომელთაც არა სურთ პაიკების როლი შეასრულონ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ხელში. ამერიკის შეერთებული შტატების ეს პოზიცია ყველაზე აშკარად გამოიხატა უშიშროების საბჭოში ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლის ოსტინის ერთ-ერთი გამოსვლით, რომელმაც ცინიკურად განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები მხარს დაუჭერენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მიღებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, „თუ ეს ქვეყნები შეიცვლიან პოლიტიკას“.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ახალი წევრების მიღების საკითხში ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მიერ დაკავებული ფავორიტიზმის პოზიცია მათთვის სასურველი ქვეყნების მიმართ და უხეში დისკრიმინაციისა სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მიმართ, რომელთაც, წესდების თანახმად, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში შესვლის უდავო უფლება აქვთ, მტკიცე წინააღმდეგობას შეხვდა საბჭოთა კავშირის მხრივ.

გენერალური ასამბლეის მე-4 და მე-5 სესიებზე სსრ კავშირი ახალი წევრების მიღების საკითხის გადასაჭრელად წინადადებას იძლეოდა რჩევა მიეცათ უშიშროების საბჭოსათვის გადაესინჯა ცამეტივე სახელმწიფოს განცხადება გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში წევრად მიღების შესახებ. სსრ კავშირის დელეგაცია მაშინ აღნიშნავდა, რომ თუმცა სსრ კავშირს სერიოზული საფუძვლები აქვს გაილაშქროს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში განცხადების შემტანი მთელი რიგი სახელმწიფოების მიღების წინააღმდეგ, მაგრამ, ისწრაფვის რა ხელი შეუწყოს ურთიერთმისაღებ საფუძველზე ახალი წევრების მიღების საკითხის გადაჭრას, საბჭოთა კავშირი მზად არის მოხსნას ყველა თავისი წინააღმდეგობა, თუ არ იქნება დისკრიმინაცია სხვა ქვეყნების მიმართ, რომელთაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მიღების სრული საფუძველი აქვთ.

მაგრამ ამერიკა-ინგლისის ბლოკმა, რომელიც განაგრძობს უკანონო, წესდების საწინააღმდეგო დისკრიმინაციულ პოლიტიკას, უარყო სსრ კავშირის ყველა წინადადება, რომლებიც მიმართულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ახალი წევრების მიღების ესოდენ გაჭიანურებული საკითხის გადაჭრისაკენ.

ამერიკის შეერთებული შტატები და ინგლისი ცდილობენ გვერდი აუარონ უშიშროების საბჭოში ერთხმივობის პრინციპს და გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში შეიყვანონ მხოლოდ მათთვის სასურველი სახელმწიფოები. ასეთივე მიზანი აქვს დღეს პერუს დელეგატის მიერ პოლიტიკური კომიტეტის განსახილველად შეტანილ რეზოლუციის პროექტს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ახალი წევრების მიღების საკითხზე.

გამოვიდა რა თავისი პროექტის დასაცავად, პერუს დელეგატმა ბელაუნდემ აღიარა, რომ ეს პროექტი მას უკარნახეს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ინგლისმა და ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის დელეგაციებს მადლობა გადაუხადა იმისათვის, რომ დაეხმარნენ ამ პროექტის „გაუმჯობესებაში“. ეს იყო მეტად ბუნდოვანი და დახლართული სიტყვა, რომელიც აღსავსე იყო სხვადასხვა იურიდიული ხრიკებითა და ოინებით, „ავტორიტეტთა“ აზრების და სახარების დამოწმებითაც კი. ბელაუნდე ვრცლად ლაპარაკობდა იმაზე, რომ საჭიროა განხორციელდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უნივერსალობის პრინციპი, ე. ი. ამ ორგანიზაციამ გააერთიანოს ყველა სახელმწიფო, რომლებიც წესდების მოთხოვნებს აკმაყოფილებენ. მაგრამ ის, რაც შემდეგ ბელაუნდემ თქვა, და ის, რაც თავისი რეზოლუციით მოითხოვა, ცხადყოფს, რომ მისი ნამდვილი მიზანია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უნივერსალობაზე ლაყბობის საფარველით ამ ორგანიზაციაში შეიყვანოს მხოლოდ ის სახელმწიფოები, რომლებიც სასურველი არიან შეერთებული შტატებისა და ინგლისისათვის, და დამატებითი დაბრკოლება შეუქმნას მშვიდობისმოყვარე დემოკრატიულ სახელმწიფოებს, რომლებიც ახორციელებენ დამოუკიდებელ პოლიტიკას და ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკის ფარვატერში არ არიან. თუმცა პერუელს პირდაპირ არ დაუსახელებია ეს სახელმწიფოები, მაგრამ ცხადი იყო, რომ საქმე ეხებოდა სახალხო დემოკრატიის ქვეყნებს — ბულგარეთს, უნგრეთს, რუმინეთს, ალბანეთს, აგრეთვე მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკას.

რა წინადადება შეიტანა პერუს წარმომადგენელმა? ჯერ-ერთი, გენერალური ასამბლეის მიერ ახალი წევრების მიღების საკითხის გადაჭრისას მიღებულ იქნას მხედველობაში საერთაშორისო სასამართლოს ეგრეთწოდებული „საკონსულტაციო დასკვნა“, რომლის მიზანია გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში არ დაუშვას არც ერთი 13 სახელმწიფოთაგან, რომლებმაც განცხადება შეიტანეს და რომელთა მიღებასაც საბჭოთა კავშირი მოითხოვს.

შემდეგ პერუს რეზოლუციის პროექტი ითვალისწინებს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მიღების შესახებ განცხადების შემტანმა სახელმწიფომ წარმოადგინოს თავისი მშვიდობისმოყვარეობის „სათანადო დამამტკიცებელი საბუთები“. თავისი მშვიდობისმოყვარეობის ეგრეთწოდებულ „დამამტკიცებელ საბუთებად“ მან უნდა წარმოადგინოს თავისი ხელშეკრულებანი სხვა სახელმწიფოებთან, საერთაშორისო აქტები და კონვენციები, რომელთა წევრიც ესა თუ ის სახელმწიფოა, და სხვ. ამ წინადადების აზრი ნათელია: ასეთი „დამამტკიცებელი საბუთების“ მომიზეზებით ხელი შეუშალონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში იმათ მიღებას, ვინც ამერიკის შეერთებული შტატებისათვის სასურველი არ არის. ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისს ამ შემთხვევაში შესაძლებლობა ექნებოდათ განეცხადებინათ, რომ ამა თუ იმ სახელმწიფოს მშვიდობისმოყვარეობა დამტკიცებული არ არის, და ხელი შეეშალათ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში იმ სახელმწიფოს მიღებისათვის, რომლის დაშვებაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მათ არა სურთ.

პერუს რეზოლუციის პროექტს მხარი დაუჭირა შეერთებული შტატების მეორე მონურად მორჩილმა დელეგაციამ, სახელდობრ კოლუმბიის დელეგაციამ. კოლუმბიის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იგი აპირებს უფრო მეტი მოითხოვოს და იბრძოლოს იმისათვის, რომ გენერალური ასამბლეის მომავალ მეშვიდე სესიაზე სპეციალური წინადადების შეტანით, უშიშროების საბჭოს ჩამოერთვას უფლება იმ საკითხებში, რომლებიც შეეხება ახალი წევრების მიღებას.

ერაყის წარმომადგენელიც მოუწოდებდა წესდების უკანონოდ დარღვევისაკენ და ცდილობდა დაემტკიცებინა, თითქოს უშიშროების საბჭომ ერთხმივობის პრინციპებით არ უნდა იხელმძღვანელოს იმის შესახებ რეკომენდაციის გამოტანისას, მიღებულ იქნას თუ არა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ესა თუ ის სახელმწიფო.

მაგრამ პერუს დელეგაციის მიერ შეტანილი რეზოლუციის პროექტი ოპოზიციას წააწყდა მთელი რიგი სხვა დელეგატების მხრივ. შვეციის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ, ბოლოს და ბოლოს, საჭიროა საქმით განხორციელდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უნივერსალობის პრინციპი. მან აღნიშნა, რომ ძალიან ბევრი სახელმწიფო სრულიად უსაფუძვლოდ არ არის დღემდე მიღებული გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, და მოითხოვა ამ საკითხში გამოჩენილ იქნას უფრო „ფართო და ლიბერალური მიდგომა“, უფრო ფართოდ გაიღოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კარი ახალი წევრების მისაღებად. საკითხის ყველაზე უბრალო გადაჭრა იქნებოდა, თქვა მან, გვერჩია უშიშროების საბჭოსათვის ამ თვალსაზრისით გადაესინჯა ყველა განცხადება, რაც კი დღემდე შეტანილია გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში წევრად მიღების შესახებ.

ამ მიმართულებით უფრო გარკვეულად და გაბედულად გამოთქვა აზრი სირიის დელეგატმა ელ ჰურიმ. იგი მტკიცედ მოითხოვდა დაუყოვნებლივ მიიღონ ყველა სახელმწიფო, რომლებმაც განცხადება შეიტანეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

ელ ჰურიმ აღნიშნა, რომ იტალია და 8 სხვა სახელმწიფო, რომელთაც სურთ მიღებულ იქნან გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში და რომელთა მიღებასაც დაჟინებით მოითხოვენ ამერიკის შეერთებული შტატები და ინგლისი, დღემდე ამ ორგანიზაციის წევრები არ არიან სწორედ ამ ორი დიდი სახელმწიფოს მიზეზით, რომლებიც ეწინააღმდეგებიან სხვა ხუთი სახელმწიფოს — უნგრეთის, ბულგარეთის, ალბანეთის, რუმინეთისა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მიღებას. რატომ არ უნდა მივიღოთ, იკითხა ელ ჰურიმ, ეს ხუთი სახელმწიფო და ამრიგად აღარ ვაიძულოთ 9 სხვა სახელმწიფო დაუსრულებლად ელოდნენ მათი თხოვნის დაკმაყოფილებას?

ელ ჰურიმ ცხადყო იმ მოსაზრებათა სრული უსაფუძვლობა, რომლებსაც დასავლეთი სახელმწიფოები აყენებენ ამ 5 სახელმწიფოს მიღების წინააღმდეგ.

სირიის დელეგატმა განაცხადა, რომ არ ეთანხმება პერუს წინადადებას, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მიღების მსურველმა სახელმწიფოებმა გენერალურ ასამბლეას წარმოუდგინონ თავიანთი მშვიდობისმოყვარეობის რაღაც „დამამტკიცებელი საბუთები“ და ამ საქმეზე დაკითხულ იქნან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ. როგორ შეიძლება სახელმწიფოთა დაკითხვა?—თქვა მან.—რომელი სახელმწიფო, რომელიც პატივს სცემს თავის თავს, დაეთანხმება ასეთ დაკითხვას, რაც სასამართლოში დაკითხვის მსგავსია?

დასასრულ ელ ჰურიმ განაცხადა, რომ საკითხის ერთადერთი რეალური და წესდებაზე დამყარებული გადაჭრა იქნებოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში განცხადების შემომტანი ყველა სახელმწიფოს მიღება.

მას შემდეგ, რაც გამოვიდა პერუს დელეგატი, რომელიც ამაოდ ცდილობდა გაებათილებინა სირიის დელეგატის არგუმენტაცია, სხდომა დაიხურა.

# ჩინური პრესა აღნიშნავს ვ. ი. ლენინის გარდაცვალების 28-ე წლისთავს

**შანხაი**, 18 იანვარი. (საქდესი). ჟურნალ „გუნჟენის“ („მუშა“) მეორე ნომერში დაბეჭდილია სტატია „ლენინი მუდამ იცოცხლებს ჩვენს გულში“.

1924 წლის 21 იანვარს, ნათქვამია სტატიაში, გარდაიცვალა დიდი ბელადი, რომელმაც რევოლუციის საქმეს მოახმარა მთელი თავისი ძალები, მთელი თავისი სიცოცხლე. ჩვენ ყველამ უნდა ვისწავლოთ ლენინისაგან სიმტკიცე მტრებთან ბრძოლაში, ერთგულება რევოლუციის საქმისადმი, მუშათა კლასის ინტერესებისადმი. ლენინი მოკვდა, მაგრამ საქმე, რომლისთვისაც იგი იბრძოდა, და ლენინის რევოლუციური სული მუდამ იცოცხლებს მთელი მსოფლიოს მილიონობით მშრომელთა გულში.

# რუმინელი ხალხი აღნიშნავს ვ. ი. ლენინის ხსოვნას

**ბუქარესტი**, 19 იანვარი. (საქდესი). რუმინელი ხალხი აღნიშნავს ვ. ი. ლენინის ხსოვნას. ბუქარესტისა და სხვა ქალაქების საწარმოებში, დაწესებულებებსა და სასწავლებლებში ეწყობა მშრომელთა საზეიმო-სამგლოვიარო კრებები.

მოხსენებებს, ლექციებსა და საუბრებს პროლეტარული რევოლუციის გენიოსზე აწყობენ სამეცნიერო და კულტურული საზოგადოებანი. კულტურისა და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი რუმინული საზოგადოების მრავალი წევრი ამ დღეებში მშრომელთა წინაშე მოხსენებებს კითხულობს ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის, ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის დიადი მეგობრობის შესახებ.

რუმინეთის სოფლებში ეწყობა ვ. ი. ლენინის ხსოვნისადმი მიძღვნილი სალიტერატურო საღამოები.

# ლენინის ხსოვნის დღეები ბულგარეთში

**სოფია**, 19 იანვარი. (საქდესი). ბულგარეთის ფაბრიკა-ქარხნებში, შრომითს კოოპერაციულ-სამიწათმოქმედო მეურნეობებში, სახალხო სამკითხველოებში, სკოლებში ეწყობა ვ. ი. ლენინის ხსოვნისადმი მიძღვნილი საზეიმო-სამგლოვიარო კრებები და საღამოები.

საბჭოთა სახელმწიფოს და ბოლშევიკების დიადი პარტიის ფუძემდებლის ვ. ი. ლენინის ხსოვნისადმი მიძღვნილი დიდი საზეიმო-სამგლოვიარო საღამო გაიმართა გიორგი დიმიტროვის სახელობის ორთქლმავალმშენებელ ქარხანაში. მუშებმა ინტერესით მოისმინეს მოხსენება უკვდავი ლენინისა და მისი დიდი საქმის გენიალური გამგრძობის ი. ბ. სტალინის, სსრ კავშირში კომუნიზმის დიად მშენებლობათა შესახებ და ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობისათვის საბჭოთა მშრომელების ბრძოლის შესახებ.

ვ. ი. ლენინის გარდაცვალების 28-ე წლისთავის გამო ბულგარეთის ბევრ ქალაქში გაიხსნა გამოფენები, რომლებიც ასახავენ სსრ კავშირში კომუნისტური მშენებლობის წარმატებებს და საბჭოთა ხალხის ბრძოლას მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის. გამოფენის დამთვალიერებლებისათვის ქალაქ პაზარჯიკში კითხულობენ მოხსენებებს „ლენინიზმი მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბრძოლის დროშაა“, „ვ. ი. ლენინი საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს შემქმნელია“ და სხვ.

# კანვონის პროვინციის მოსახლეობა აღნიშნავს ვ. ი. ლენინის გარდაცვალების ოცდამერვე წლისთავს

**ფხენიანი**, 18 იანვარი. (საქდესი). როგორც კორეის ცენტრალური დეპეშათა სააგენტო იუწყება, კანვონის პროვინციის ყველა რაიონში აღნიშნავენ მთელი მსოფლიოს მშრომელი მასების დიდი მასწავლებლისა და ბოლშევიკური პარტიის შემქმნელის ვ. ი. ლენინის გარდაცვალების ოცდამერვე წლისთავს.

პროვინციის საწარმოებში წაკითხულ იქნა ლექციები თემაზე: „ლენინიზმის თეორია მშრომელთა მილიონიანი მასების უძლეველი ძალაა“; საწარმოთა ყველა საამქროსა და ბრიგადაში ეწყობა საუბრები თემებზე: „ლენინი—მთელი მსოფლიოს მშრომელი მასების მასწავლებელი“, „ლენინი და მუშები“, „ლენინი და გლეხები“.

გაიხსნა ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი მუდმივი გამოფენა.

ვონსანსა და ახლომახლო სოფლებში ეწყობა მოძრავი გამოფენები.

# ურუგვაის პროგრესული საზოგადოებრიობა აღნიშნავს ვ. ი. ლენინის ხსოვნას

**მონტევიდეო**, 19 იანვარი. (საქდესი). ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს შემქმნელის ვლადიმერ ილიას-ძის გარდაცვალების 28-ე წლისთავის აღსანიშნავად ურუგვაის გაზეთმა „ხუსტისიამ“ გამოაქვეყნა მთელი რიგი სტატიები და მასალები.

სტატიაში „ლენინი და მშვიდობა“ გაზეთი წერს, რომ ლენინიზმის უძლეველი დროშით, ი. ბ. სტალინის გენიალური ხელმძღვანელობით მთელი დედამიწის მილიონობით მამაკაცი და ქალი ახორციელებს კაცობრიობის საუკუნოებრივ ოცნებას. ისინი ეწევიან დაუღალავ ბრძოლას მტკიცე მშვიდობისათვის, თავისუფლებისა და პროგრესისათვის.

სტატიაში „ლენინი და მუშათა მოძრაობაში ეკონომისტების წინააღმდეგ ბრძოლა“ გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს ვ. ი. ლენინის განსაკუთრებულ როლს რევოლუციური მოძრაობისათვის მავნე მიმდინარეობის—ეკონომიზმის იდეურად განადგურების საქმეში.

ურუგვაის სხვადასხვა ქალაქში გაიმართება ვ. ი. ლენინის გარდაცვალების 28-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო-სამგლოვიარო კრებები და სხდომები.

21 იანვარს გაიმართება საზეიმო-სამგლოვიარო სხდომა, რომელსაც ურუგვაის კომუნისტური პარტია აწყობს.

# კორეის ამბები

## კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

**ფხენიანი**, 19 იანვარი. (საქდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის დღევანდელ ცნობაში ნათქვამია, რომ სახალხო არმიის შენაერთები ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილებთან მჭიდრო თანამოქმედებით განაგრძობდნენ თავდაცვით ბრძოლებს ამერიკელ-ინგლისელი ინტერვენტებისა და ლისინმანელთა ჯარების წინააღმდეგ და ზარალს აყენებდნენ მათ ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

გუშინ აღმოსავლეთის ფრონტის ცალკეულ უბნებზე წარმოებდა ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები. სახალხო არმიის ნაწილებმა იანგუს ჩრდილოეთით მდებარე საზღვარზე წარმატებით მოიგერიეს მოწინააღმდეგის იერიშები, რომელმაც დიდმნიშვნელოვან მაღლობს შემოუტია, და ზარალი მიაყენეს მას.

ცენტრალურ და დასავლეთის ფრონტებზე წარმოებდა ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები და მზვერავი რაზმების შეტაკებანი.

გუშინ სახალხო არმიის საზენიტო ნაწილებმა და თვითმფრინავთა გამანადგურებელმა მსროლელებმა ჩამოაგდეს მტრის 3 თვითმფრინავი იმ თვითმფრინავთაგან, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ აღმოსავლეთ და დასავლეთ სანაპიროებზე მშვიდობიანი მოსახლეობის დაბომბვასა და ტყვიამფრქვევის ცეცხლის დაშენაში.

# მოლაპარაკება კორეაში დაზავების შესახებ

**პეკინი**, 19 იანვარი. (საქდესი). სინხუას სააგენტოს კორესპონდენტმა 18 იანვარს კესონიდან გადმოგვცა:

კორეაში დაზავების შესახებ მოლაპარაკების დღის წესრიგის მე-3 პუნქტის განმხილველი ქვეკომიტეტის დღევანდელ სხდომაზე მეორე მხარემ წამოაყენა გაცვეთილი საბუთი, რომ კორეაში აეროდრომების გამგებლობის უფლებაში ჩარევა, თუ ამაზე თანხმობა იქნა ჩვენი მხრივ, არ ნიშნავს კორეის საშინაო საქმეებში ჩარევას.

ჩვენმა დელეგატმა მკვეთრად გაილაშქრა ამის წინააღმდეგ და განაცხადა, რომ ჩვენი უფლება —ვიყოთ კორეაში ყოველგვარი ნაგებობის განმკარგულებელი, სავსებით საშინაო საქმეა. ეს წარსულში აღიარა მეორე მხარემ. ის ფაქტი, რომ ახლა იგი უარყოფს იმას, რაც წინათ აღიარა, რათა მხარი დაუჭიროს თავის მოთხოვნას, ამხილებს ამ მოთხოვნის მთელ უაზრობას. არც ერთ სუვერენულ სახელმწიფოს არ შეუძლია დაუშვას ჩარევა თავის საშინაო საქმეებში, იმაზე რომ აღარ ვილაპარაკოთ, რომ ვერ დაეთანხმება მოთხოვნებს, რომელთა მიზანია ასეთი ჩარევა. ჩვენმა დელეგატმა კვლავ განაცხადა, რომ ჩვენი მხარე უთუოდ გაილაშქრებს ყოველგვარი მოთხოვნის წინააღმდეგ, რომელიც კორეის საშინაო საქმეებში ჩარევის მომასწავებელი იქნება.

მტკიცე დაზავების უზრუნველყოფის მიზნით ჩვენ უკვე შემოვიტანეთ სრულიად საკმაო წინადადება, რომელიც დაზავების სიმტკიცის უზრუნველმყოფ ძირითად პრინციპად გულისხმობს ორივე მხარის ვალდებულებას — დაზავების დროს კორეაში არ შემოიყვანონ არავითარი სამხედრო მაშველი ძალა და არ შემოიტანონ საბრძოლო თვითმფრინავები. თქვენ რომ მართლა ისახავდეთ მიზნად იმას, რასაც ლაპარაკობთ, სახელდობრ—მტკიცე დაზავების მიღწევას, რომელიც გააადვილებს კორეის საკითხის მშვიდობიან მოწესრიგებას, და მართლაც ასრულებდეთ ამ პრინციპს, როგორც ჩვენ ვასრულებთ, მაშინ გამორიცხული იქნებოდა რომელიმე მხარის სამხედრო-საჰაერო ძალების გადიდება.

დღის წესრიგის მე-4 პუნქტის განმხილველი ქვეკომიტეტის სხდომაზე მეორე მხარე ცდილობდა უარეყო ის ფაქტი, რომ ეგრეთწოდებული „ნებაყოფლობითი რეპატრიაციის“ პრინციპი, რომელსაც მისი წინადადება შეიცავს, არსებითად ნიშნავს განზრახვას ჩვენი ტყვედწაყვანილი სამხედრო მოსამსახურეები გადასცენ ლი სინ მანისა და ჩან კაი-შის ბანდიტებს.

მეორე მხარის დელეგატი უარყოფდა, რომ მოლაპარაკების დროს მას როდისმე განეცხადებინოს ასეთი განზრახვა. მან თქვა, რომ მათს მხარეს არასოდეს არც აშკარად და არც ფარულად ფორმით არ განუცხადებია არავითარი ასეთი განზრახვა ან რაიმე, რაც შეიძლებოდა ასე განგვემარტა. მან თქვა, რომ „გაერთიანებული ერების შეიარაღებული ძალები“ არ აპირებენ ვინმე გადასცენ რომელიმე მთავრობას როდისმე და სადმე.

ჩვენმა დელეგატმა გააბათილა ეს მტკიცება, დაიმოწმა რა ორი დღის წინათ მოპირდაპირე მხარის მეორე დელეგატის მიერ გაკეთებული განცხადება, რომ მათს ხელში მყოფ ჩვენს სამხედრო მოსამსახურეებს არა სურთ ჩვენს მხარეზე დაბრუნება, რომ ესენი არიან კორეელები, რომლებიც ამჯობინებენ „კორეის რესპუბლიკის“ მთავრობას, რომ მათი გადაცემა ამ მთავრობისათვის მათს რეპატრიაციას ნიშნავს.

მეორე მხარემ აგრეთვე განაცხადა, რომ ჩინეთის ორი მთავრობის არსებობა ისეთი ჭეშმარიტებაა, რომელზე დავაც არ შეიძლება. ისევე, როგორც კორეელ ჯარისკაცებს შეუძლიათ თავიანთი სურვილისამებრ გაემგზავრონ კორეის ყოველ ნაწილში, ჩინელ მოხალისეებს შეუძლიათ დაბრუნდნენ ყოველ ადგილას, რომელსაც თვითონ აირჩევენ. მათ, თუ ისურვებენ, შეუძლიათ დაბრუნდნენ „ჩინეთის რესპუბლიკაში“.

ჩვენმა დელეგატმა მტკიცედ განაცხადა, რომ ჩვენი მხარე ვერ მოითმენს ვერავითარ განზრახვას, რომელიც მიზნად ისახავს ჩვენი სამხედრო მოსამსახურეები გადასცენ ლი სინ მანისა და ჩან კაი-შის ბანდიტებს.

# ამერიკის თვითმფრინავის მიერ კესონის ნეიტრალური ზონის დაბომბვის გამო

**პეკინი**, 19 იანვარი. (საქდესი). სინხუას სააგენტოს კორესპონდენტი კესონიდან იუწყება:

გუშინ, მეორე მხარის მოთხოვნის შესაბამისად, კვლავ მოეწყო ერთობლივი გამოძიება ამერიკელთა მიერ 17 იანვარს კესონის ნეიტრალური ზონის დაბომბვის ადგილზე. ახალმა ამერიკელმა მეკავშირე ოფიცერმა სამხედრო-საჰაერო ძალების სამ ოფიცერთან ერთად დაათვალიერა ბომბით ამონათხარი, ადამიანის სიმაღლის ორმო და ირგვლივ მოფანტული ნამსხვრევები. ყველაფერი ეს ამერიკელთა მიერ დაბომბვის შედეგია.

ისევე, როგორც 17 იანვარს დაკითხულმა ექვსმა ადგილობრივმა მცხოვრებმა, ჩუ ჩან ხვამ დაწვრილებით ილაპარაკა, თუ რა მოხდა ამერიკელთა მიერ დაბომბვამდე და დაბომბვის შემდეგ. მან თქვა, რომ დილით, როცა იგი შინ იყო, გაიგონა არაჩვეულებრივი ხმაური თვითმფრინავისა, რომელიც დაბლა მიფრინავდა. მალე მას შემდეგ, რაც მოტორების ხმაური შორს მიწყდა, მან გაიგონა თვითმფრინავის ხმა, რომელიც თანდათან მაღლა ადიოდა. შემდეგ მიწა შეინძრა აფეთქებისაგან. ამის შემდეგ თვითმფრინავის ხმა აღარ ისმოდა. როცა სახლიდან გამოვიდა, მან დაინახა მიწაზე მოფანტული ბომბის ნამსხვრევები და ამოთხრილი მიწის ბელტები.

ბომბით ამონათხარი ორმოს დათვალიერების შემდეგ ამერიკელმა მეკავშირე ოფიცერმა აღიარა, რომ იგი საჰაერო დაბომბვის შედეგია. მიუხედავად უდავო დამამტკიცებელი საბუთებისა, მას მაინც მიაჩნდა, რომ საჭიროა კიდევ მოწმეების მონახვა. ჩვენმა მეკავშირე ოფიცერმა პოლკოვნიკმა ჩან ჩუნ სანმა განუცხადა მას: „ჩვენ მოგეცით ყველა შესაძლებლობა, რაც ჩვენს განკარგულებაში იყო, და წარმოგიდგინეთ მნახველთა ჩვენებანი და ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთები. ვინაიდან თქვენ გსურთ, რომ ჩვენ კიდევ მოვნახოთ მოწმეები, შევეცდებით შევასრულოთ თქვენი სურვილი“.

# ავსტრიაში საბჭოთა ინფორმაციის სამსახურის ცნობა

**ვენა**, 17 იანვარი. (საქდესი). როგორც უკვე ვიუწყებოდით, გასული წლის ნოემბერში მუშათა და მოსამსახურეთა ზეგავლენით ტერნიცის „შელერ-ბლეკმან-ვერკეს“ ქარხნის დირექცია იძულებული გახდა გაეუქმებინა საომარი მასალების დამზადების დაკვეთა.

15 იანვარს ვენის რამდენიმე მემარჯვენე გაზეთმა გამოაქვეყნა ცნობა, რომელშიც ამტკიცებდნენ, რომ „შელერ-ბლეკმან-ვერკეს“ დირექცია საბჭოთა საოკუპაციო ხელისუფალთა ზეგავლენით იძულებული გახდა უარი განეცხადებინა ვითომდა სანადირო თოფების ლულების 2 ათასი ნამზადის წარმოებაზე.

საბჭოთა ინფორმაციის სამსახურმა გამოაქვეყნა ცნობა, რომელიც სრულიად აბათილებს ავსტრიის მემარჯვენე პრესის სიცრუეს. ცნობაში ნათქვამია:

„მთელმა რიგმა გაზეთებმა, რომლებიც ავსტრიაში ცნობილი არიან ახალი ომის აქტიური პროპაგანდით (ამერიკული „ვინერ კურირი“, „ნოე ვინერ ტაგესცაიტუნგი“, „არბაიტერ-ცაიტუნგი“), ამა წლის 15 იანვარს გამოაქვეყნეს „თავიანთი საკუთარი კორესპონდენტების“ იდენტური ცნობები იმის შესახებ, რომ გასული წლის ნოემბერში ტერნიცის „შელერ-ბლეკმან-ვერკეს“ ქარხანაში საბჭოთა სამხედრო წარმომადგენლებმა გამოავლინეს ვითომდა სანადირო თოფების ლულის 2 ათასი ნამზადი, რომლებიც შემდეგ მოსპობილ იქნა საბჭოთა ხელისუფლების განკარგულებით.

ამ გაზეთებს, უფრო ზუსტად—ცენტრს, რომელიც მათ ცრუ ინფორმაციით ამარაგებს, თვენახევარი მოუნდათ, რომ შეეთითხნათ ეს მორიგი უგუნური სიცრუე.

მართლაც, ნოემბერში ტერნიცის „შელერ-ბლეკმან-ვერკეს“ ფირმის ქარხნის მუშებმა უარი თქვეს გაეკეთებინათ 2.200 ლულის ნამზადი, რომელთა დაკვეთაც მისცა მათ ამერიკული ზონის საჭურვლის დამამზადებელმა ფირმამ „შტაიერ-ვერკემ“. საბჭოთა ნაწილის მიერ ქარხანაში გაგზავნილმა სამხედრო სპეციალისტებმა გულმოდგინე გამოძიების შედეგად გამოარკვიეს, რომ ნამზადები აღმოჩნდა არა სანადირო თოფებისათვის, არამედ დაზგის ტყვიამფრქვევთა ლულებისათვის. ეს დასკვნა დაადასტურა აგრეთვე იმ ფოლადის ხარისხის ანალიზმა, რომლისგანაც გაკეთებული იყო ნამზადები.

საბჭოთა წარმომადგენლებთან საუბარში ფირმა „შელერ-ბლეკმან-ვერკეს“ გენერალურ დირექტორს — გრასინგერსაც არ უარუყვია, რომ ეს ნამზადები „შეიძლება გამოყენებულ იქნან საომარი იარაღის წარმოებისათვის“, სთხოვა საბჭოთა წარმომადგენლებს არ აღეძრათ ეს საკითხი და აღუთქვა მათ, რომ ამიერიდან ფირმა ასეთ დაკვეთებს აღარ მიიღებდა.

თავისთავად ცხადია, რომ საბჭოთა სამხედრო ხელისუფლებმა განკარგულება გასცეს, რომ ტყვიამფრქვევთა ყველა ნამზადი მოესპოთ. საბჭოთა სამხედრო ხელისუფალნი მომავალშიც მტკიცედ დაიცავენ საკონტროლო შეთანხმებას და აღკვეთენ საომარი მასალების წარმოების ყოველგვარ ცდებს. მილიტარისტული პრესის ცრუ გამოხდომები ამაში ვერაფერს შეცვლიან“.

# არჩევნები ინდოეთში

**ბომბეი**, 19 იანვარი. (საქდესი). ჰაიდერაბადის სახალხო-დემოკრატიული ფრონტის თავმჯდომარემ ჯაისურიამ გამარჯვება მოიპოვა ინდოეთის პარლამენტის არჩევნებში. მან მიიღო 90.366 ხმა, მაშინ როდესაც პარტია ინდოეთის ეროვნული კონგრესის კანდიდატმა შრინივასმა მიიღო 70.866 ხმა.

ტრავანკორ-კოჩინის შტატში არჩევნები დამთავრდა. არჩევნების შედეგები შემდეგია: ინდოეთის პარლამენტში არჩეულია პარტია ინდოეთის ეროვნული კონგრესის 6 კანდიდატი, გაერთიანებული მემარცხენე ფრონტისა, რომელსაც კომპარტია მეთაურობს—4 კანდიდატი, დამოუკიდებლებისა (გაერთიანებული მემარცხენე ფრონტის მხარდაჭერით) 1 კანდიდატი და სხვა პარტიებისა—1 კანდიდატი. ინდოეთის სოციალისტური პარტიის 9 კანდიდატი, რომლებმაც კენჭი იყარეს აქ პარლამენტში, დამარცხდა.

ტრავანკორ-კოჩინის შტატის საკანონმდებლო კრებაში არჩეულია პარტია ინდოეთის ეროვნული კონგრესის 44 კანდიდატი, გაერთიანებული მემარცხენე ფრონტისა, რომელსაც კომპარტია მეთაურობს,—37 კანდიდატი, დამოუკიდებელთა—6, სოციალისტური პარტიისა—12 და სხვა პარტიებისა—9 კანდიდატი.

# დ. მ. გელოვანი — ვეტერინარულ მეცნიერებათა დოქტორი

ვეტერინარულ მეცნიერებათა კანდიდატმა დოცენტმა დავით მიხეილის-ძე გელოვანმა 1951 წლის 31 მაისს ლენინგრადის ვეტერინარულ ინსტიტუტში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია: „ბანდალას აღმძვრელი სოკოს ტოქსიკოლოგიური და ფარმაკოლოგიური დახასიათება“.

სსრ კავშირის უმაღლესი განათლების სამინისტროს უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დ. მ. გელოვანი დაამტკიცა ვეტერინარულ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხსა და პროფესორის წოდებაში.

დ. მ. გელოვანმა სამეცნიერო ხარისხის დაცვამდე წარმატებით დაამთავრა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის დოქტორანტურა ლენინგრადში პავლოვის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტთან.

# კორეული პოეზიის საღამო

**გორი**. (საქ. კორ.). გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის კომკავშირის კომიტეტის ინიციატივით ინსტიტუტში მოეწყო ახალი კორეული პოეზიის საღამო.

მოხსენებები წაიკითხეს: „ახალი კორეული პოეზია“—სტუდენტმა ს. ხევსურიანმა, „კორეელი პოეტები ამერიკელი იმპერიალისტების წინააღმდეგ“—სტუდენტმა ა. ქელბაქიანმა, „კორეელი პოეტები უმღერიან საბჭოთა კავშირსა და დიდ სტალინს“—სტუდენტმა შ. გვილიამ.

სტუდენტებმა შ. ჯვარიძემ, მ. გოგრიჭიანმა, ქ. გუნთაიშვილმა წაიკითხეს კორეელი პოეტების ლექსების საკუთარი თარგმანები.

საღამოს მრავალი ახალგაზრდა დაესწრო.

# თელავის სახელმწიფო თეატრში

**თელავი**. (საქ. კორ.). ს. ორჯონიკიძის სახელობის თელავის სახელმწიფო თეატრმა დადგა შირვან ზადეს პიესა „პატიოსნებისათვის“. როლები შეასრულეს მსახიობებმა გ. მამუჩიშვილმა, ქ. კევლიშვილმა, გ. მარტაშვილმა, დ. სხირტლაძემ, ეკ. ვერულაშვილმა, ს. მანანაშვილმა, ა. გაჩეჩილაძემ და სხვებმა.

თეატრმა მაყურებელს უჩვენა აგრეთვე ე. ვოინიჩის „კრაზანა“, რომელიც დადგა თეატრის მთავარმა რეჟისორმა გ. ითელიანმა, მხატვრული გაფორმება ეკუთვნის მხატვარ ი. პეტრიაშვილს. მთავარი როლები შეასრულეს მსახიობებმა გ. კევლიშვილმა, ა. კუპატაძემ, თ. ბურბუთაშვილმა, პლ. ახვლედიანმა (საქ. სსრ დამსახურებული არტისტი), ბ. თოფურიძემ, ბ. ჯავახიამ, ვ. ჩელთისპირელმა და სხვებმა.

# კეცხოველის სახელობის საქალაქო პარკაბინეტში

21 და 22 იანვარს, საღამოს 8 საათზე, შედგება ჯგუფური კონსულტაციები თემაზე: „ვ. ი. ლენინი ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ფუძემდებელი და ორგანიზატორი“.

კონსულტანტები: ვ. რატიანი, ი. მამაცაშვილი და შ. გულორდავა.

# დღეს გაზეთ „ზარია ვოსტოკაში“

პირველი გვერდი — მოწინავე — ლენინის საქმე ცოცხლობს.

ი. ნონეშვილი — ლენინის დროშა (ლექსი).

შ. ლორთქიფანიძე—ლენინის სინათლე (ლექსი).

ვ. ი. ლენინის თხზულებათა ოცდამეხუთე ტომი ქართულ ენაზე. ლენინის რაიონში. ვ. ი. ლენინის ცენტრალურ მუზეუმში (საუბარი მუზეუმის დირექტორ ა. კოსულნიკოვთან).

მეორე გვერდი — ს. ტიტარენკო — ლენინის იდეების ზეიმი.

მესამე გვერდი — დიადი ცხოვრების ფურცლები. მუზეუმის პავილიონში პაველეცის ვაგზალთან. იქ გამოდიოდა ლენინი. ვ. ი. ლენინის სამშობლოში. ვ. ი. ლენინის სახელობის ბიბლიოთეკაში. იქ, სადაც მიმდინარეობდა პრაღის კონფერენცია. ლენინის დღეები უცხოეთში.

მეოთხე გვერდი — გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეექვსე სესია. უცხოეთის ინფორმაციები. ქალაქის ქრონიკა.

რედაქტორის მოადგილე **ი. ნატროშვილი**

მეუღლე გიორგი, შვილები მარტინი, ვლადიმერ, დედა ანაიდა, და ანა, მაზლები ევგენ, ვლადიმერ, ვალენტინ ოჯახებით იუწყებიან ოფელია ზრტაშას ასულ ვართანოვა-რუსეცკაიას გარდაცვალებას. პანაშვიდი 21-I, 7 ს. გამოსვენება 22-I, 5 ს. კლარა ცეტკინის, 31.

ბიძაშვილები გიორგი და ეთერ ხენგავები იუწყებიან სამსონ ჭიჭოს-ძე ხენგავას გარდაცვალებას. დაკრძალვა 22-I, გევუთში (ქუთაისის რაიონი).

და გოგუცა, სიძე ვიქტორ, დისწულები მამია და ვახტანგ სიხარულიძეები იუწყებიან დავით ნიკოლოზის-ძე დოლიძის გარდაცვალებას. პანაშვიდი 21-I, 7 ს. გამოსვენება 22-I, 5 ს. საგურამოს, 20.

მეუღლე ავეტიკ, დედა სონია, ძმა კოტე იუწყებიან როზა სუქიასოვი-ატენიანის გარდაცვალებას. პანაშვიდი 21-I, 7 ს. გამოსვენება 22-I, 3 ს. გუმბრის, 7.

ჯანაშიას ქ. № 4-ში მცხოვრებნი იუწყებიან ვახტანგ ნოეს-ძე ადეიშვილის გარდაცვალებას.

ძმა კოლია, რძალი ელპიტი, ძმისწულები გრიშა, ნინო, თინა, ტუფა, ნათელა, გივი ოჯახებით, რძალი ნათელა, სიძე ალექსანდრე ადამიშვილი იუწყებიან დავით ნიკოლოზის-ძე დოლიძის გარდაცვალებას. გამოსვენება 22-I, 5 ს. საგურამოს, 20.

„სამგორწყალმშენის“ მე-6 კანტორის თანამშრომლები იუწყებიან ვახტანგ ესტატეს-ძე გოჩიაშვილის გარდაცვალებას.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ № 14. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, ხამდივნოსი — 3-06-88. განყოფილებებისა: პროპაგანდისა და პარტიული ცხოვრების — 3-81-84, სასოფლო-სამეურნეოსი — 3-57-61, საბჭოთა მშენებლობის, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელის — 3-80-83, სამრეწველო-სატრანსპორტოსი და ინფორმაციის — 3-80-84, მშრომელთა წერილების—3 73-24, მორიგისა და გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობისა — 3-51-81, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 00216